

JK 716 E  
1932



วัฒนาธรรม



๙๘



3/13/53  
S. Shatn., 15.2.1933.



# კავკასიონი

## KAVKASSIONI

RECUEIL GÉORGIEN LITTÉRAIRE

ფ0860 80430

გამოცემა გვ. 1  
გამოცემა

356060

1982





1832

1932

გიორგი კიფანი

## ასი წლის პოემა

I

დაქნილ თითებით ათამაშებ ბროლის კლავიშებს,  
 უცემს წუხილი მელოდის ლურჯი თვალებით,  
 ღმერთ ლრუბლებში ნაბადიეთ გაშლის ბალიშებს,  
 ქზივართ არიყე შორეულის მძიმე ბრალდებით;  
 შემომაგებე შურტულიეთ სახე ნაწყენი,  
 ეხედაც მე, ქალო, თითა თრთოლამ ხმები დათოდა,  
 განმეორებით ალბად დღესაც ისევ დასწუკეული,  
 ეინც რომ სატრუოს გზა დაივიწყა და მიატოვა.  
 ისევ დაუკარ ეს მუსიკა სიმების თრთოლებით,  
 ისევ გაშალე სურათები მოგონებიდან,  
 ამხელს შორეულს საშიშარი ტალღათა ქროლვით  
 დღეს სინამდგრილე დაწყებული მონგოლებიდან.  
 მაშინ შარაზე შერის თვალით შხამი სდომდა.  
 დაიწეა მიწა უნგვეშო ცეცხლის ზმანებით,  
 სისხლის ღვარებად კლდის ჩონჩხებზე ჩამოდიოდა  
 თასი შანი და მამალი ნადირ-ხანებით...  
 ტალღათა მღერას თოთქო მოაქცი თამარის ხმები,  
 ფაფარ-აყრილი ფრთის კალამი აწყობს ტყაოსანს,  
 მაგრამ შეჩერდა სინამდგრილე და განრისხებით  
 დაიწეო ზეცამ შეტევებშე სისხლით გადმოსცლა...  
 ორ ზღვათა შორის დაიქანცა ძელების კუნძული,  
 კრწანისის მიწა გადახაზა ხმალის ჭრილებმა,  
 გაიღო კარი და ზეირთების იყო ჩურჩული:  
 დაეცეთ კუნძულს, როცა ცეცხლებს ჩაეძინება!  
 იგრძნო ლალატი მოღუშულმა მთების არწივება,  
 მოადგა ქალაქს ამღერული ცხელი სულთანი;  
 დაცხრილულ ზეცამ დედა-მიწის სისხლი აწეიმა,  
 ჩონჩხის ტყეებით გადიარა გზა ნაბურთალი...

## II

შემოიხურა მოვონებამ შავებში ნისლი.  
 ჯვრებით გადაშლილ საფლავიდან ხმები გროვდება!  
 ნუ თუ, შენ ქალო, ლურჯ-თვალებავ! სრულიად იცი  
 საუკუნეთა გზა დაღმარით და უბედობა!  
 გლოვის კუნძულზე დატესულ წლევბი მიწვა,  
 შერისმიერა შეიკაზმა ურდოს ნებიერით,  
 ბორიო ცაზე იმედების მზე გადაიწვა,  
 დაეშეენ ფიქრი გამოუდილი ჯალათებივით.  
 აღარ იქმარა მრისხანებამ ჩბევა დიდების,  
 თითქო წამოდგა მეამბოხე წლევბი ერთად.  
 დადგა იმედი ვარიფრავის ფერ-ვაჟიმორებით,  
 ოცდათორმეტიც მზის სხივებით გამოიკვეთა.  
 მოებს დატყვენდა ცის ჩრდილები ფერმერთალ ნოხებად,  
 ღამე გულმრუდია შორეული ელოდა შეელას,  
 ჰერთოდ სიჩუმე ჩაფიქრებულ მეამბოხეთა,  
 ნატყევია წარსულს უგზავნიდენ ფიცით სიმღერას.  
 დაბურულ გულის სამფლობელო იყო ის ღამე, —  
 სული ჩამჯდარი მეამბოხე ლრუბლების ქოში,  
 ელოდა დღებს მწამებელის სისხლით სიმთერალე  
 და დაბრუნება სხივით მორთულ მშევიდ სამეცნიში.  
 იდგა ნუგეში საუკუნის ფერგაფიორებით,  
 დალურნულ ხმალზე სინამდვილე დაიმსხერა ნატვრად,  
 ტფილისზე სამჯერ გადიარა მეფემ ფიქრებით,  
 ყორნის ყიყილით ლალატიდან დაეშეა ფარდა!

## III

დიდია გლოვის დაგორება დასაბამიდან,  
 დიდია დაზღიული დაროვები შესადარები!  
 როგორც ჩაობის გასაჩეუევად ხმა საფლავიდან,  
 როგორც კებბოზე დაშვებული ჩუმი თვალები!  
 თვით ამ სიკუცხლეს ჩად მოპქონდა ქარიშხალივით  
 ორ ზღვათა შორის დაბინდული წუხილის მიწა?  
 როცა ატირდა საუკუნე მოსუც ქალივით,  
 გლოვით სატრუთოსთან თვით სიკედილი ჩად დაიჭირა?  
 ნუ თუ არ აჩის სხვა ადგილი თავშესატარი?  
 ყველგან მთებია და მინდვრები დაგორებული!  
 ჩისთვის გახერხავს შენ, ღლებო, ციცვა ზეწარი?  
 ჩისთვის დამდგარხარ შენ, სიკუცხლევ, დაღონებული?

კულტურის ერთია, ენც არ იყო. რომელ მხარეში,  
 მიწას დასწეული გამოკვლილს მრავალ-თვლებიანს,  
 რაც უფრო იწვევ საძიებლად მღვრიე ლამწეში,  
 მით უფრო შეტი შემზარევა უცსერულებია!  
 დარჩები ალბად ისევ მშრალი კიოხეს ამარა!  
 რამდენი გრძნობა ჩამოჟენება დროისა ლოდინით!  
 სიკედილის ხიდზე თასებმა გადაიარა,  
 ისევ ათასჯერ დაწევება ლომე ლოდიეთ!  
 ვინ გამოკვეთა ეს გრძნობათა შავი აჩსება,  
 შავ ლომებში ნახშირიეთ გულო ნაშობო?  
 შწუხრის ისრები სასიკედილოდ რო გატმასნება,  
 სამწაშავეა ქვეყანა და შემდევ სამშობლო!

მაგრამ სად ნახოს უმისობით სულმა სიმშევიდე?  
 რომელ ქვეყანას შეუძლია ამომქრას ვული?  
 მოვკლავ სიკოცხლეს. რომ იქ მიწა გადამიშლიდეს,  
 სადაც მარხია უპატრონო ჩევნი წარსული!

#### IV

ვერ გაუძელით მკრთალ სიმების სევდიან ნიშნებს,  
 შეკრა თითები, სამუდამოდ შესწყდა ძაბილი,  
 და როცა ჩრმად დააჩრდი დაქნილ კლავიშებს,  
 მე შემამჩნიე მოწყენილი და თავ-დახრილი.  
 შენი თვალები ჩამომლნარი ცრემლთა-ლინებით,  
 ფაულეველი მოვანების მჩქეფარე ჭყარო,  
 მინდა მოგტაცო და ქურდიეთ მოებს გაეცილდები,  
 რომ ეს წუხალი თვით წუხალზე გადავატარო!  
 სექსურის გრძნობა იყო ქალო შეხედრა ჩევნი,  
 ტანის შერხევა. გაუგებარ სოსს ზრიალი,  
 თმების ჩანჩქერი ღია მკერდშე ჩამონაშევები  
 და მის ქვეშ სუნთქვა შენგან დასჯილ ადამიანის.  
 მე რად ვიგრძენი ეს ცხოვრების ჩუმი ფერება,  
 დაქრილი დედის საალერის ჩიტიეთ სუნთქვა?  
 თუ კი მცირებ გამოკვეთა ეს მოჩენება,  
 მუსიკის სული სასიკედილოდ რო დაიუფლა!  
 როცა დლეები ამღვრეული ცეცხლებს დამიშენს,  
 ზეცა მიწაზე ჩამოწევება ღრუბლებ დახრილი,  
 კვლავინდებურად ვთხოვ შეეხო სათუთ კლავიშებს,  
 კამომალებით მიტოვებულ სატრაქოს ძაბილით!

რ. ინგილი

## საქართველოს სამთავროს პირარება

რუსეთის მოსველის ზინ.

(მიმოხილვა)

თუ სახელმწიფო მოწეადინებულია, რომ მას პატივით  
ეპურობოდენ გარედან, ხოლო შეინით პეობდეს სიმტკიც-  
სა და შეურჩევლობას, მან ყოვლის უწინარეს უნდა დაიცეს  
ეროვნული უფლებრიეტი გრძნობა და აზიზად უელიდეს მას.

Rudolf von Jering

(Der Kampf um's Recht)

ამ წლის წინათ მოწყობილ შეთქმულობით ქართველმა ერმა ჭა-  
ტაცებული დამოუკადებლობის დასაბრუნებელ ცდის პარველი ეტაპი  
დაამთავრია. ეს იყო ხანა დაუცხრომელ შეიარაღებულ ბრძოლებისა სა-  
ხელმწიფოს სუვერენიტეტის აღსაღვანად. ყოველმხრივ უსახსრობისა  
და სისუსტის მიუხედავათ ხალხი მაინც უკიდურესი საშუალებებით ეწი-  
ნააღმდეგებოდა უცხოთა მბრძანებლობას. ეს სტადიონი ისტორიაში უნ-  
და შეეიძლეს ეითარცა გმირული და რომანტიული თავგანწირეა უფლება  
აყრილ აღმფოთებულ ერისა.

ამ სისხლინი მატუნის ხელის გადაფურცელის აწინდელს ჩეკნს  
პირობებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგ-  
რამის ამოკითხებს თანამედროვე ქართველი პრაკტიკულადაც გამოიყე-  
ნებს.

მეოთხელი ქვემოდ გაეცნობა წერილებს, სადაც 1832 წლის ამბები  
დალაგებით მოთხოვობილ არიან. ჩემი სტრიქონები კი გადაგვახედვენ  
უფრო ადრე წლებისაკენ, რათა წინამდგომ ამბების გასენებით ერთგვა-  
რად გაშუქებულ და გააღვილებულ იქმნას გარემოებათა და ფაქტების  
შემდგომი წყების გაგება და შეთვისება.

მეოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს სახელმწიფოებრიობა შემომტკიცებულ სუვერენულ სახეობით აღ-

მოიკვეთა და კავკასიაში მოსახლე ხალხთა შორის ისევ ძეგლი პევემანის მნიშვნელობა მოიმოვა. საქართველოს კელია უბრუნდება მიმნეული პროვინციები და მათ შორის ისეთი ნაყოფიერი და სტრატეგიული მნიშვნელობის კუთხები. როგორც მაგალითად ყაზახი, კაკელისები (პერეთი) და ბორჩალია, ესენი და ზოვი სხვა სამფლობელოები (განჯა, ერევანი) უკვე თეიმურაზ II-მ კელია შემოიტარა თავისი ვონიერული და ფხისელი პოლიტიკის მეობებით. ბატონიშვილ უკელის მამამ იმ წელიწმიდის დამყო ისპავანში უმთავრესად იმ მიზნით. რომ დაბრკოლუა ბანი და სიძნელენი თეითონვე განესაჯა და შესაფერისი ზომებიც მცნოვ მიეღო. მან მოასერხა სპარსეთის შეპ სულთან - იბრაჰიმთან პირადათ დაეჭირა მევამბრული ურთიერთობა. რითაც დაწუბული გვამზები უმ-ტეიფნეულოდ განიასია, ამიტომ მეფის დაბრუნება ტუილისში 1749 წ. სატრაქუმფე იყო. აღმოსავლეთ საქართველოს გაძლიერებას არც იმ ვა-ჩემოებამ შეუშალა ხელი, რომ პოლიტიკური მოსახრებით 1744 წელს კახეთი გამოყოფილ იქნნა ქართლისაგან: უკანასკნელში მეფობა განავ-რდო ისევ თეიმურაზმა, ხოლო კახეთი გამომხმრითოერთ 26 წლის ერევლე II-ს ჩაბარდა. თეიმურაზ II-ის გარდაცვალების უმაღლე (1762 წ.) ეს თავურე მოხეცელი კომბინაცია მოისპო და ერევლე II ალყანილიქმნა შე-ერთებულ ქართლ-კახეთის ტახტზე. ამ ტრის აღმოსავლეთ საქართველო უკვე მძღვანელი სახელმწიფო ერთეულს წარმოადგენდა. რაიცა მეფე ერ-ეკლეს ტიტლოდანცა სიანს: — „მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ერევლე მეორე წარმომითა ღვთისათა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მეფევილრ მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთა-ვარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისისა, მთავარი კაյისა, მთავარი შექისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა უ-ერენისა“.

ამ ზომამდის გაძლიერებული აღმოსავლეთი საქართველო, თანაც ისეთი სახელმოვეკილ მეფის საჭით ამოძრავებული. როგორც იყო პა-ტარა კახი, ბუნებრივიად ინიდავდა თავის წიალში წინაევმთა უკერძა-ოობის გამო მიმობნეულ ქართულ მიწაწყალსა. მერ-იმერეთის გერეთი-ანება მოწინავე ქართველ საზოგადოებამ მორიგ პოლიტიკურ ამოცანად დასახა; სათანადო ჯგუფები და ორგანიზაციები ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში პრაქტიკულ მემაბდასაც შეუდგნენ, ისე რომ როგორსაც 1790 წელს ქართველ ტომთა ჩრეული მეფე ერევლეს ჯერ მიმოართედნენ სჩულიად საქართველოს გვირგვინით კურობეულიყო, ისინი უსათუოდ გამოსხატაულნენ მთელი ხალხს გულისნადებს. ამ გარემოებაზე გზამი-მავალდ ცოტახნით შევაჩერებ მკითხველის გულისურს; შეჩერება მით უფრო ხანიცერებსათა. რომ ფაქტოურად ქართველთა ნატერას ურთები ერ შეესა და საქართველომ 1790 წლის შემდგომაც ვერა ჰპოვა უნი-რარეული გამოსახულობა. რომ შეუშალა მას ხელი? რა გარემოება წი-

ნაღულგა საყოველოთ სერვისი?.. დროშებითა და ზალიჩებით მორ-  
 თული დედაქალაქი ზეიმს მისცემოდა და ამისი სრული საბაბიცა პენ-  
 და: სასახლეში თავი მოყვირათ სრულიად საქართველოს მოციქულებს;  
 ისინი ქართველ თოსუმთა სამკეილრებელის გაერთიანებაზე ბჭობდნენ.  
 მრავალრიცხოვნი და წარჩინებული იყო ეს დარბაზობა: მასში წარმო-  
 დგენილიყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური პა-  
 რიტონების უმჯობესი გამომხატველი. ერეკლე მეფის შეილისშეილმა  
 სოლომონ II-მ თითქმის მთელი თაეისი სამინისტრო წარუებაზნა პაპას  
 იმის დასამტკიცებლად. რომ იმერეთი უკაუმანობ ილტეის აღმოსავლეთ  
 საქართველოსთან შესაერთობლად. სოლომონ მეფის დესპანთ შემთაუ-  
 რობდა სახლთებულესი ზურაბ წერეთელი; მათ შორის იყვნენ აგრეთვე  
 ნეტარხსნენებული მღვდელმთავარი დოსითელს ქუთათელი და ექვთი-  
 მე გენათელი, შემდგომ (1820 წ.) წაწამებნი რუსეთის მთავრობის მიერ-  
 როვორუც სოლომონ მე-II-ისა, აგრეთვე გრიგოლ დადანისა და სვიმონ  
 გურიელის ჩერელო ერთხმად განუტადეს ერეკლე მეფეს, რომ დაე-  
 ლებული იქვთ საჯაროდ აღიარონ ქართველობის გარდაწყვეტილება  
 ერთბაზობისათვის ერეკლე მეფის თვითმმართველ ხელმწიფების ქვემ-  
 უკნისკელი სიტყვა წარმოსთვეა მეფის ძეშ ტახტის მემკიდრე გორ-  
 გიმ. შესანიშნავი იყო ეს სიტყვა, როგორც წარმოთქმის შნორი, აგრეთვე  
 სწავლულებითა და მოხდენილ მაგალითების აწყობით. დარბაზისელი და  
 ახვეთი მემკიდრე, ლამაზი შესახედავი და მჭერმეტყველი ჩეველის  
 მჭერაჲ ხმით პაზრებს პაზრებზე ჰქინიავდა და აჯაღობდა ისედაც აღ-  
 ფრთვანებულ მსმენელთ. მისი პარალელები უძველეს ისტორიიდან,  
 ელლინიკოდან, რომიდან, ჩერელი ტექსტები საღმრთო წერილიდანა  
 და პატრისტულიდან მკეთრი დასაბუთება იყო იმისა, თუ რა საჩეკბლე-  
 ბა აქვს სახელმწიფოს მთლიანობასა და ერის ერთობასა, ხოლო რა ზიანი  
 მოაქვს ამ მიწებათა გარდახვევასა და უარისკოფასა... მხაგამენიდილი  
 და მოქეშული იჯდა მეფე ერეკლე! ან რა უნდა ეოქვე მოხუც გორგვი-  
 ნოსანა, როცა ყელა მოსმენილ სიტყვებში მისი საკუთარი ზმნება მე-  
 ტყველებდა? მან, ლვაწლითომისილმა ხელმწიფებმა და სახელგანთქმულ-  
 მა სახდალმა, სხევბზე უკეთესად უწყოდა, რომ საქართველოს სახელ-  
 მწიფოებრივი უზრუნველყოფა, ხალისი კეთილდღეობა და საზოგადოთ  
 კულტურული წარმატება მეტწილად დამოყიდებული არის მისი სხე-  
 ულის სიმრთელისაგან. წწორუპოვარმა მხედართმთავარმა მთელი თა-  
 ვისი სიცოცხლე სახელმწიფოს განვიდებას შესწირა და ყოველი გოჯი  
 მიწა მისმა აშიშელებულმა მახვილმა მოუმაგრა საქართველოს. სდგმდა  
 მეფე, მისი შეუბლი ვერც ტახტის მემკიდრის აღზნებულმა სიტყვამ  
 გახსნა... ერეკლე II-მ, როგორც კიცით, უარყო ქვეყნის ხმა. ხელმწიფე  
 არ აწყვა გულისითვმას, მოწილილი გრძნობები ციც გონებას დაუმორ-  
 ჩილა და სამეცნის ბეჭილბალი საგარეო მოვლენათა ტრიალზე ააგო.

ერეკლე მეფემ განუმარტა ელდანაცემ დამსწრეთ. რომ საგარეო მთა  
 საზრებანი არ იგუშებენ საქართველოს ერთ მთლიან სახელმწიფოდ ქმნას,  
 რომ ეს გარემოება სამხრეთ ორ მეზობელში მყისვე გამოიწვევს აურჩა-  
 ურსა, რადგანაც მათ ანგარიშებში არ შედის საქმის დაპერა კიდითეკა-  
 დემდე გაერთიანებულ საქართველოსთან. გონიერის მშრალ ანალიზს უნ-  
 და შეეწირნენ გრძნობებიცა და სურვილებიც. ამისდამიხედვით ერეკლე  
 მეფის რჩევით საქართველოს სხვა და სხვა ნაწილთა მფლობელი ცალ-  
 ცალკე ტრაქტატებით შეეკრინენ მას, ხოლო ხალხის გრძნობას რომ მცი-  
 რელი და კამაყოფილება მაინც მისცემდა, ქართლ-კახეთის მეფე დანაშ-  
 თენთა მფრიველათა და მზრულელათ დასახელდა. ანუ საერთაშორისო  
 უფლებას ტერმინით, ცველა სამთავროებრივ ქართლ-კახეთის სამეცნი-  
 ჭობეჭერიატი დამყარდა.

ერეკლე მეფის ნაცარაუდევა არ გამართლდა: სამხრეთ მეზობელებში  
 სხვა რამ იწვევდა კმუნისა და შიშა, — ეს იყო რუსეთის თანდათან-  
 ბითი შეუტერებელი ჩამოწოლა მცირე აზისაკენ. ასეთ გარემოებებში  
 საქართველო შეუმნიველი არ დაჩიტებოდა. პირიქით მის ყოფაქცევას  
 და პოლიტიკას ძალუძღვა მოვლენათა ერთგვარი შესხვაფერება. სამაჭ-  
 მადიან სახელმწიფოთა დიპლომატი იმის ცდაში იყო, რომ საქართვე-  
 ლოს გული მოეგო, თუნდაც ტერიტორიალური შემატებითაც, ყლონდ  
 დარღვეულიყო ის სტრატია, რომელიც კაცებისონის უმეტეს ნაწილში  
 დამყარდა 1783 წლის ხელშეკრულების გამისისმით. მიუხედავათ იმისა,  
 რომ მეფე ერეკლეს საგარისი საბაზები ჰქონდა ამ ტრაქტატიდან გა-  
 მომდინარე ვალდებულებანი საქართველოსათვის ძალადაკარგულად  
 ეცნო და სათანადო ზომებით მისი სრული გაბათილებაც მოეთხოვა, მაგ-  
 რამ ის არ დაადგა ამ უკიდურეს გზის და შეოლოდ მიმი ცდაში იყო, რომ  
 პეტერებურგში შეკონტაქტი თავის ელჩის თ. გარსევან წავედიამის საშუალებით  
 როგორმც აქცულებინა კონტრაგვენტი უფრო პირნაოლად მოპყრობოდა  
 საქართაშორისო იურიდიულ დოკუმენტს. ამავე დროს ქართველი სა-  
 ხელმწიფო მოლვაწენი და საზოგადოო მოწინავე წრები ამჩნევდნენ,  
 რომ ტრაქტატმა არამიც თუ არ მოიცა დაპირებული სიკეთენი, წინააღ-  
 მდევ — შექმნა სახელმწიფოს არსებობისათვის შეტისმეტად სახიფათო  
 მდგომარეობა: რესერთონ დაკავშირებამ საქართველოს გადაუმტერა  
 სამაჭმალიანი სამხრეთი.

ამავე დროს საგულისხმო ამბები დატრიალდა სპარსეთში: ძლევა-  
 მოსილ ნაღირშაბაის სიკედილის შემდგომ ეს ქვეყანა უკანუნიან იწვედა,  
 ხოლო მეოცეამეტე საუკუნის სამოქაან წლების შემდგომ იქ მოლიანი-  
 ბაც-ე მოისპო. გამოყოფილი სასანობი ერთის მხრით ურთიერთშორის  
 იბრძოდნენ, მეორეს მხრით კი თავს იცავდნენ ცენტრალ შიაცობას  
 ცდისაგან გაერთიანებისათვის. დალებების გზაზე შემდგარი სპარსეთი  
 გადააჩინა და ახალი ძალით შექმნა მაგარმა სარდალმა და დიდათ ნი-

ჭიერჩა ხელმწიფოში და-მაპმეც-ზან. ყაჯარელმა. უსასტკეცის ზომებით ის სულ მალე გაშემულავდა განდღომილებს. გაამრთელა და განამტკიცა სახელმწიფო აპარატი, გააძლიერა და რეინის ტისკოპლინით შექმრა ჯარი და 1791 წელს უკვე საქართველოს საზღვრებზე მომდგარი მეგობრობის განახლება მოიხსოვა ქართლ-კახეთის მეფები. საქართველოში მოშევრენენ, თუ რას პირზე გადასაცემი საზღვრიდან გადმოძირილი, ჯარის ყიფენით აგუშუნებული სტრატეგიული მეგობრობისათვის: ეს იმას მოასწავებდა პირველყოფილს, რომ საქართველოს უნდა გაეწყოტა კავშირი რუსეთთან 1783 წლის ხელშეკრულების უარისყოფით და ამავე დროს განეახლებინა ჩევეული მიმართება სპარსეთთან. რუსეთის მოახლოების საშიშროებას ჰერიონბდნენ კველა სამამიადინ ქვეყნები და უკვე გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა შორის მცენარეებრელ შაპს.

საქართველოს წინაშე შევაცელ დაისაც ურთოულესი საკითხი. ეხლა უნდა ერთხელ და სამუდამოდ გამორკეულიყო ასე ესთქვათ ორიენტაციის საკითხი. ურკვლე მეფები იყოდა, რომ ერთი ნიწილი პოლიტიკური მოღვაწებისა სოლომონ ლეონიძის მეთაურობით აშეარად თანაუგრძნობდა სპარსეთთან კავშირის აღდგენის. ეს ჯგუფი იმ ჰაზრისა იყო. რომ ძველ შევეულ შეზომლებთან საერთო ენის გამონახვა და ის, რასაც მოისუს ციცენის ეძინიან, აღვილად შესაძლებელია, მით უმეტეს. რომ ერკვლე მეფის საქართველოს ძალაცა და უნარიც შესწევდა თავის ღრმა სებისა და სამკეიდრებელის დასაცავად. უსევე ჯგუფი თავიდანვე თავიცურად უცემენდა რუსეთთან დაახლოებება. 1783 წლის ხელშეკრულების მომდევნო ფაქტებმა კი იგი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში. რომ ჩრდილოეთის ერთორიწმუნე იმპერია ორპირი და გაუტანელია. გარნა მეფე უფრო რუსეთის მომხრეთავენ იხტებოდა. აქევე უნდა აღინიშნოს, რომ რუსოფილური ჯგუფი თანადათან ფეხს იყიდებდა სამეფოში და ვაკლენასაც ჰქონდა. მას ნიკიერად ხელმძღვანელობდა პეტებზურგში თავადი გარსევან კავკავაძე, ხოლო საქართველოში ამავე ჯგუფს შეთავეურობნენ თეთო დესპანის სიმამრი ჸიბოსრი ავალიშეული და უფრო მუკაითად ტახტის მემკვიდრის სიმამრი გოგია კაციშეილი. ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ამავე ჯგუფში წარმოიშვა და მეომე უკვე განცალკევებულად მოქმედებდა უკიდურეს მიმართულება, ქსის ერისთავების მიერ ასულდებული. რომელიც აღარც 1783 წლის ტახტატით ყაბულდებოდა და რუსეთთან მიერთებას მოიხსოვდა. რაინდი მეფე იურიდიულად და უნერობივადაც ვალდებულადა სოფლიდა თავისთავს უმწიკვლოდ აღესრულებრნა ტახტატი და ის სწორედ ეს გარემოება საბერისტრი გმილდა სამეფოსათვის. მეფემ უარსკო აღამამეტებანის წინადაღება, საქართველომ ზურგი უქცია სამამიადინი სახელმწიფოებს და ახალ გზების ძიგისათვის მიერთობელსა და ქუშ ჩრდილოეთისაენ იძრენა პირი. რუსიკონი გადაიღოა...

გაუმართლდა ერეკლე მეფეს იმედობი? გაამართლა ისტორიაშ მისი საგარეო პოლიტიკა? აქ ისეთი საკითხები იძალება, რომელთა კმაყოფელი და გარჩევა წერილის ფარგლებიდან გამოვიყენდა. მისი სირთულე მოითხოვს ცალკე გამოკლევასა და მცოდნის კალაში.

ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის დაფასებაში ქართველი საზოგადოება იმთავითებ ინ სასტუკ მოპირდაპირე ბანაკად იყოფებოდა. ორგვერტები ორივეს საქართვისად მოეპოვებოდათ. ისტორიული მაგალითებიცა და საქართველოშე დამტყდარი მოელი ეს აღიაქოთური ამბებიც საკითხი მისაღლის ორივე მხარეს ძლიერდა. საკითხმა აკტერად რო მნიშვნელობა მოიპოვა უკვე ჩვენს დროში.

მეთერამეტე საუკუნის დამლევისა და მე-19-ის დამდევის მოელენათ შესწავლის ხელახლა მიპყვეს ხელი, როცა დიდი ომის შემდგომ ცხოვრების მიმდინარეობამ კიდევ დასაც საერთაშორისო დღის წესრიგში საქართველოს თეოთუმოფიბის აღდგენის საკითხი. დამოუკიდებლობის პრაქტიკული განახასება მეცნიერებისა და სწავლულ პოლიტიკურ სტანდის ჰაზრით შესაძლებელი გახდა საერთაშორისო უფლების ძალით, იურიდიულ ნორმებშე დაყრდნობით, ესე იგი სწორედ იმ სახით, როგორათაც დამოუკიდებლობის აქტის შესავალში აღინიშნა (მუტატის მეტანობის ასევე მოიჭა საქართველოს კელებითი მართველობაც როდესაც მცხოვის (12 მარტი 1917 წ.) სავატოეფალო აქტი გამოაქვეყნა). თავის თავად იჯულისხმება, რომ ერეკლე მეფის პიროვნებაც კვლავ მოეცემა შესასწავლ მასალათა ფოქსებში. ჩევნი დამოუკიდებლობის დროს საქართველომ იწერებოდა იმის შესახბ, ეინც ხალხურშა ეპოსში ასეთი სიტყვებით დაასურაოთაც:

მცხეთას სდგას თქმის კუბით,  
შეი ნათობს კულაბტარია,  
შეგა წევს მეფე ერეკლე,  
ბაგრატიონთა გვარია

გმირს დაუხუჭავს თვალები,  
მაგრამ არ არის მკედარია!  
შეილებს გადუგდო ბეგთარი  
ფხა სისლიანი ხშალია.

სანამდის ვიყავ, კარგ ვიყავ,  
მიეძარ-მოეძარი ზედენია,  
ეხლა თქევნთ ჩამიბარია  
ქართველთ მთა და ტაძარია.

ამავე ხანებში გამოქვეყნდა, თუ არ ეცდები, ეურ. „შეიდ მინაობა- საკუთრებული სახელის გამოქვეყნების სახანგრძლივი პოლიტიკა ქართულ პრესაში, ისევ მეცე ერეკლეს პიროვნება რომ ჰქონდა საგნაც, ხოლო მისი საბაზი კი იყო ამ მეცეს სახელის წაშლა ერთ-ერთ საქალაქო სკოლის ოლივიუ- ზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ორილი კვირის წინ ადგილი ჰქონდა ერთ გვიზოდს, რომლის გახსნება ინტერესს არ ეწ- ნება მოკლებული: გართულ კლუბის დაჩბაში ერეკლე მეცეს „ასამარ- თლებდენ“; მიზანში ამოლებული იყო საზოგადოთ მისი საქართველოს პილიტიკა, ხოლო თავის თავიდ იგულისხმება, რომ ბრალმდებლიუკა და დამცველებაც მეტწილად 1783 წლის ხელშეკრულების ანალიზზე ჩერ- დებოდნენ. ამ „სასამართლოში“ ბრალმდებლებმა გაიმარჯვეს და ეს ფსიქოლოგიურადაც გასაგებია, მაგრამ სახათაბალოდ საქმე იქამდის მი- გიდა, რომ პრეზიდიუმის საგანგებო ზომებისა და თადარიგის დაჭრა მო- უხდია, რათა მეცე ერეკლეს დამნაშავეთა სკამი ისცევნდა.

როგორ წაედოდა ჩენი სამშობლოს ბეჭი, უკუთხ ერეკლე მეცეს მეორე გზა აერჩია, მნელი საოქმედია, მაგრამ ერთი აამ კი აშკარაა, სა- ხელობის ის, რომ მე-18 საუკუნის მიწურულში სამხრეთით მყოფი სა- ქართველოს სამტრო ძალებით თანდათანობით სუსტდებოდნენ და ქვეით- დებოდნენ, საქართველო კი სამიგიროდ ძლიერებით იმოსებოდა, თა- ნაც ეროვნება და აზიის ხორის სულ სხვაგვარი ურთიერთობა მყარდე- ბოდა; წინანბობის კარჩაერტილობა ეხლა ხალხთა და სახელმწიფოთა უფრო მშენრო კაშტრმა შესცვალა, ხოლო სამაქანისო ქვეწების აკ- რესობის წინააღმდეგა ახალი სულით ამოძრავებული, გამოუხიზულებუ- ლი ეტრობა, რომელიც ბურნობარტის ძლევამოსილების ნიშნით მონაკ- სკოს „კანონების სულს“ მიმოაბნედა და ამ მცნების ექრობის სახლ- რებს იქით ხმელთა-შუა ზღვის სანაპირო ქვეყნებს აწევდიდა... სწავლი- თაცა და, თუ დასკრიფტებოდა, ძალატანებითაც. ამ ეკრობაში ერეკლე მეცეს კარგა იქნადნენ. იქ განცილებული იწვევდა „გეორგიანთა“ ხელმწიფის ქვეამახილობა, სახელმწიფოებრივი სისტემე, სათნოებითი მთავრობა ქვეშეკრიტიმებისადმი და ჩაც თავიდათავი მისი საოცარი ძა- მაციობა და გენოსურა მხედართმთაერობა. გვირგენისან სარდლის ური- კიერესად წარმოებულ აღრიცხვაგადასულ ომების ამბავი რომ მოისმი- ნა, პრესიის მეცემ ფრიილის დიდა, წარმოსთქვა: მე პირეკლი ეცრო- პაში ვარ. ხოლო აზიაში გეორგიანთა მეცე ერეკლეო.

საქართველოს ხელმწიფეც იცნობდა ევროპას და კიდევეც სკოლ- ლობდა გადამმოდა მას კაშტროთა, თუ სპეციალი საგნის ხელშეკრუ- ლებებით, გარნა ეცროვასთან ურთიერთობის გამა ნორმალურად სა- ქართველოსათვის მიზანრის დაღუპვის შემდგომ (1453 წ.) ვაძლელ- ბული გახდა, რომ არა ესორქვათ, მთლად შეუძლებელი. და როდესაც

ასეთი დამცირდებულების შესაძლებლობა მეტნაცლებობით მოსახრებების შექმნა, ერკელე მეფის ცდინიც სწორედ იქითენ მიმმართენ და შეთანხმებისათვის ნიადაგის სიჯვაც იქიდანვე დაიწყო (ვენა, პარიზი, სარდინია, ნეაპოლი, ვენეცია), მაგრამ იმ-დროინდელი დასვლები ჯერ კიდევ მთლად არ იყო მომარჯვებული წინააშიის საქმეებში აქტიურად ჩარევისათვის.

ისტორიულ ფაქტებზე დამყარებით საფუძველი გვეძლეთ შაშიან დამც კსოვეთ, რომ რუსეთთან დაახლოების სურვილს ერკელე მეფის საგარეო პალიტიკაში თურმე უკანასკნელი ადგილი სცერიია. სულ სხვა არის საკითხი, იყო კი სახოვადოთ საჭირო და აუცილებელი ასენარიად გარდამას სავარეო მიმართულებისა; კერძობ კი, რომ ეს ცველი ისტორიულის გვენიერების კვლევის საგანს შეადგენს. ჩემის მხრით მე მნოლოდ განციფრება შემძლიან გამოვთქვა, როგორ მოხდა, რომ მეც ერკელემ, რომელსაც სამაჰმადინმ ერები და სპარსეთი პრიტიცულადაც და თეორიულადაც შექმნავლილი და აწონდაწონილი ჰქონდა, აღლო კუთ ახალ კოირებათა დამციფრების ეროვნება და მცირე აზიაში? ის მიმართავდა რუსეთს კაშირისათვის, როდესაც ხელთა ჭიანდა საქართველოს ამ ქვეყნის ცვალებადა და ორპირი პოლიტიკისა (ასპინის ამი და სხვ.). ის გაურბოდა სპარსეთს, როდესაც სულ მარტივი და ზერტველე დაკავირები იყო საქართვის იმის შესამოწმებლად, რომ ეს ქვეყანა, მიუხედავთ მისი ახალი აღორძინების წანისა, არსებითად აღმოშლილად უნდა ჩათვლილიყო ძელ მრისხანე იმპერიულ სახელმწიფოთა სიიდან. სხვაგან ამა საცდა საძებნელი ერკელე მეფის დიპლომატიის მამიძირავებელი ფაქტორები?!

ყველა ამას ზედღუაროთ შეგნით, თვით საქართველოში არსებული მოუწყობლობა, რამაც ერთიანად ხელი შეუწყო მის საზარალოდ აწენილ გარემოებათა მოახლოების. ზემონაწერთან წინააღმდეგობაში ნუ ჩამოერთმევა ეს ნაფიქტი: საქმე იმაშია, რომ ერკელე მეფემ მომეტებული ნაწილი თავის ხანგრძლივი მეტობისა ომებში დაციონ. მის აღურისველ ღაშტომათა თუნდაც ზოგადი აღნიშვნაც კი მოელ შრომას მოიხვეს. პატარა კაზი განჩხლებულ კრუხიყით თავს ევლებოდა მტერთავან გარემოულ საქართველოს — ხან იგურიებდა მათ, უფრო ხშარად კი ჰადვნიდა და მუსრს ავლებდა, მაგრამ მტრების წინაშე ერთხელაც არ დახრილა მისი ავლვარებული მახვილი!.. გლეხები რომ გაიგებდნენ ერკელე საომრიად გაიპრაო, ყანებსა და მინდვრებში ლალად ვა-იომდნენ: პატარა კაზი ეს გააქრებდა ახლო?

ერკელემ დასცა ყანი,  
მეფეა ქართველისაო,  
პატარა კაზი მუდამ ეამს  
გამძლები არის მტრისაო.

საითაც მიღის და მოღის,  
ლურჯაზე კონტად ზისაო,  
თოფი და ხმალი მხარს აკრავს,  
მტერსა დაპხოცაეს ლუთისაო...

და კიდევ:

ყარსიდან დარუბანდამდინ  
მტერი ჰყავს დამონებული;  
სხვა არა თქმულა შეფერი  
მისებრივ თავდადებული...

ერთიც:

უძლიერესი მეფეთა,  
შემქული ყოვლისფრითო,  
წმიდა ნინო შემწედ ჰყავს,  
დალესტანს ებრძეოს ხმლითო...

შინაცხოვრების მოწესრიგებაზე სათანალო ზრუნვა მეფეს არ და-  
ცალდა; სახელმწიფოს ძირითადი კანონები ველაზ აკმაყოფილებდნენ  
წინწასულ მოთხოვნილებებს; მიზანშეწონილება რიგში პსამდა 1792  
წლის მემკიდრეობის კანონის შეცელასაც; ამ კანონის მიერგბლობაში  
ჯერ კიდევ ერეკლე II-ის სიცოცხლეში იჩინა თავი, ხოლო მის გამსაკუ-  
თრებულ სიმწვდევს მეფის მრავალძობა აღვევდა; სახელმწიფოს კა-  
თილდღეობას არა ნაკლები ენება მიაყენა უმაღლესმა განკარგულება-  
შაც, რომლის ძალით ბატონიშვილებს საუფლისწულოები ჩამოირგ-  
დათ; ამ ზომით მეფე, საფიქრებელია, დღილობრივა ხელისუფლების გან-  
მტკიცებას, რა კი ოვით გარეყოფნა უზრიდებოდა. სულ ახლა წლებმა  
ნათელყველ ამ სისტემის მთელი დამლუპელობა სამეფოისათვის: საუ-  
ფლისწულოებში მოყალათებულ ბატონიშვილების უმეტესობამ თავი  
სუვერენებად მიიჩნიეს და ხშირად ცენტრის განკარგულებებს კიდევაკე-  
რგულებელყოფნენ.

ამისთბაში ტუილის მოადგა აღა-მაპელ-ხანი 70.000 ჯარით. რე-  
სეპტემბერი, როგორც მოსალოდნელ იყო, უმუხლა საქართველოს და თევის  
ჯარის ნაწილებით ჩრდილოეთისაკენ გავკერტება. ა. ამ განწირების  
ეამს გამოირკეა საუფლისწულოების შექმნის მზარე შედეგები: 87  
წლის მცხოვანი მეფე ერთმეტა მხედრობით პმუსრავდა სოლანლულ მი  
გამაგრებულ სპარსელებს, მაგრამ უსწორო ბრძოლაში ქართველთა რაზ-  
მები თხელდგბოდნენ. მეფემ აფრინი შიკრიკები საუფლისწულოებში,  
გარჩა მეფის ძეთ ყურიც არ გაიძირტყეს... ამის მიუხედავიდ უკან  
მისეთის ჯურისა ჰქვდა აღა-მაპელ-ხანს, რომ მან სასწავლოდ უკან  
წასელა ამგობინა. რესეპტიმა კი 1795 წლის კატასტროფა ხელშედიობიდა  
და ფარისულ ზრახვების განაღლებას შეუდგა. საქართველოს ლამპარი სი-  
აღანლულში ჩაქრა...

მტერიალულ დედაქალაქს თვალი ააშორა მეფებ და თავის ძეებ თულავისაც გაეშერა. იქნე ნაძიევარზე გადამუშარ სასახლეში 11 იან- გას 1798 წელს სამედამოდ განისვენა ხალხზე გაცემულ ამაგითა და ღვაწლით დამაშერაობა მეფემ. მოქედა საქართველოს სიცოცხლე, ჩა- ესვენა მისი მზე, დაიხსურა საზოაპრო ამბავთა მომთხრობი წიგნი! სე- დოთმოცულ ხალხს ასე უსაშიმრეს მიპლარის საძოვრიდან თუშებმა:

მეფე ერეკლე აღარ გყავთ  
ბაგრატიონთა გვარით,  
აღარ გაქცეს ბაირალები  
აღარ სცენეს ზარბაზანით...

გახსნებულ მოელენათა შემდგომ საქართველოს ბეჭი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, გადიორა: რესეთი მხოლოდ მომარ- ჯებულ პირობებს და უცდიდა, რომ მისი სრული ანექსია მოხდინა. თვალი მიმოვალოთ უკანასკნელ ღონისძიებათ, რომელთა მიზანს სა- მფლონი სუერენიტეტის დაცა შეაღებნდა.

ტახტზე ასულ გორგი XII-ს ბატონიშვილები ოპოზიციაში ჩაუდ- დგნენ. გერი წევილის წინააღმდეგ მათ აქეზებდა ქერიე დედოფაალი და- რეჯანიც, რომელმაც იცოდა გიორგი მეფის უარყოფითი შეხედულება არსებულ მემკეიდრეობითი კანონისამდი, იცოდა ისცე, რომ განსცენე- ბულ მეფესაც ბოლო წლებში შეეცვალა პაზრი ამ კანონის სარგებლია- ნობაში. ამიტომ იყო, რომ მეფე ერეკლე ბეჭითად თვალყურს ადენებ- და თავის შევილისშევილის — გიორგის პირზოს — ბატონიშვილ დავი- თის სწავლისა და აღზრდის საქმეს. მეფისავე სურეილით დავითი პე- ტერბეზურებში გიოგზავნა სამხედრო ხელობის ახალი წესების შესაწიფ- ლად (ე. წ. პეტერის სისტემა); საზოგადოთ მიღებული იყო ყველა საქი- რო ზომები, რომ მომავალი მემკეიდრე ტროის მოთხოვნილების მიხედ- ვით ღირსეულად დამჯდარიყო ბაგრატიონთა ტახტზე. თადარიგის და- ქმერა თავიდანვე საკირო გამზადა, რაფენაც ტახტის მემკეიდრე გიორგის წყალმნის ნიშნები აღმოჩნდა. ბატონიშვილთა ურჩაურმა ისენაი- რად გაართულა მდგომარეობა, რომ გიორგი მეფემ თავის სურეილის წინააღმდეგ დაამტკიცა უმოსსკნებული წესი ტახტის მემკეიდრეობის შესახებ, ესე იყო მეფობა უნდა გადასულიყო არა უფროსს შვილზე, არამედ უფროს-უმცროსობის შინედრით ძმებზე.

საქართველოს თავგადასაცლიან ისტორიაში გიორგი XII-ის მეფო- ბის დრო ერთ-ერთ უმძიმეს ხანად უნდა ჩაითვალოს. გავრცელებული პაზრია, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი სულ სხვა გზით წაეიდოდა, უკეთ ხელმისაფაბა უფრო ძლიერი ნებისყოფის, ნიუიერსა და მომქმედ პიროვ- ნებას ჰქონდა. ზოგი კიდევ შეისაც მიღიან და პირდაპირ აცხადებინ, რომ თუ არა მეფე გიორგი, საქართველო რესეთს არ ჩაუგარდებოდა

ხელშით. მოკლედ, უკანასკნელი მეფე მოძულებულის ბევრთავან და არამც თუ ამ გამად შეცვლილი არ არის მისდამი ასეთი გულისწყრობა, არც ქართველი მწერლები სწავლობენ მას (პლატონ ღოსტატის ვა-მოკლებით).

ვიორგი მეფის პირველი უბედურება იმაში იყო, რომ მას მეცნა წილად ჰქვდა ერეკლე მეფის შემდგომ. მხე მოთარესა პირდილავს და ბერბერაზ შოთათა ბორცვი ბუზათა სჩანს. ჩევნის სამშობლოს ამერ-ი-ორეში ბევრი კარგი მეფე დაეთვლება, მაგრამ ვართანგ ვორგასლანს, დაფით აღმაშენებელს, თამარ დედოფალს, ბაგრატ III-ს, ერეკლე II-ს საუკუნოებით ლოდინი უნდა! მეფე ვიორგის სახე მისმა შეუდარებელმა მამამ დაჩრდილა. მით ქრისტიანობიური სიახლოედ უნებურად შედარებებს ითხოვს და სწორედ იმ ფსიქილოგიური ხისითის გარემონტაშ წააკითხდა ზოგიერთ მკელევარის ნაფიქრი და დაკიტებებანი. განათლებითა და ერუდიტით მეფე ვიორგი გაცილებით მაღლა იდგა თავის მამაშე, ხოლო მისი შედარება ძმებთან (ანტონ II კათალიკოზის გარდა) პირდაპირ შეუძლებელია. ვიორგი მეფე საუცხოვდ განსწავლული იყო ისეთ დისკუსიონებში, როგორც მსოფლიო ისტორია, ფილოსოფია, სამხედრო მეცნიერება, აირონიკა (მეფეს მცემეტულებაში მთელს საქართველოში სოლომონ ლეონიძე თუ შეცდრებოდა), ლიტერატურა, ხოლო რაიცა შეეხება საღმრთო წერილისა და სხვადასხვა აღსაჩენათა სწავლებასა. ამ დარგში ვიორგი XII განსაკუიფრებელი მცოდნე იყო. მის ეხალისებოდა დარბაზის ლურჯი დალგებულ პაკერისა მცოდნე პირებთან და ამ მიზნით დროგამოშეცვით მოგზაურობდა თან ბერთოვანში, ხან დავითგარეჯში. ხან ყაზახში და ხან ბორჩალოს თამურში (უკანასკნელ პროექტიცებში მეფე-მთავარი სწავლულ მოლებათ ეწეოდა მასლათს ზედმიწევნილი თათრული ენით; ისიც აღსანქანია, რომ აქეთ მოგზაურობისას მეფის ამაღლას შეაღენდნენ მხოლოდ თათრები და თარაქამები).

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში იშევითად გამოინახება ნაწერი ვიორგი მეფის შესახებ, რომ ამ იყოს მოხსენებული მისი სპეციალური ცოდნა, თუ ინტერესი სალოთისმეტყველო მეცნიერებისადმი. ხოლო ამ საგანმცე ასევე თითოების ყელანი დაცინვის კილოთი სწერენ; ზოგმა დაიწენა ვიორგი მეფის ყელებიური განწყობილება დ ზედ მიაყოლა ბრალდებაც, თითოებს მეფე ვიორგი სახელმწიფოს საქმეთა თაობაზე უბრალო ფექტსაც კ გაურმოდა და მხართებოზე წამოწოლილი საცეცხლების თშიმო იმრანებდა თავს. მართალი ამ საძრახისში მხოლოდ ის არის, რომ ვიორგი მეფე ხშირად იწვა მუთაქებით გარშემოიადგებული, მაგრამ წოლა უხდებოდა სნეულებისა ვამო (ნუ დაეიციწყებთ, რომ ვიორგი XII-შ სამ წელიწადს ძლიერ იმედა († 28 ქრისტიანობისთვეს 1800 წ.). საკრეველის მოლიც მის თახაში ამავე ვარემონტით ასესწება:

წირვალოცა აეადმუოფობის გაარჯლებისას მეფის საწოლ თააშში სრულდებოდა, მაგრამ კულას ხომ უნდა მოქსნებოდეს, რომ საქართველოს საუკეთესო მეფები არც ლიბრ-პანისორები იყვნენ და ამ თუ ინდიფერენტები კელესიურ საქმეთათვის. მაგალითისათვის შორს გადახედვაც არ არის საჭირო; თვით მეტე კრეილეს წირვისა და ლოკუსისათვის დღეში სამჯერა ქონდა მომარაგებული დრო; ბრძოლის კელზედაც უკაფ გარემობა მიუნდებოდა, მეტე უზენაესობა საკედრებელ საუბარს ეძლეოდა.

საქართველოს მიაქანებდნენ დალუპეისაკენ სულ სხვა ჯურის მიკლებანი, ხოლო მათი დაძლევა გორგი მეფის ძალასა და შესაძლებლობის აღმატა. სახელმწიფოებრიობის დამშლელ ფიქტორთა შორის არა ნაელები წილი მიუძლეს განსცენებული მეფის ოჯახში შექმნილ ვითარების. დროა გამოვეთხოვთ იმ შეხედულებას, თითქოს ვიორგი XII როსეთისაკენ მიაშურებდა თავის სამეფოს და ისიც ყოველ პირობით გარეშე, ბატონიშვილები კი ამგარათვე იმის ცდასა და ძიებაში კოდილიყვნენ, რომ საქართველოსათვის თვითარსებობა შეენარჩუნებინათ. ეს სიყალბე უნდა ჩამოვაზრით საქართველოს ისტორიის ახლო განვლილ ფაქტი — ამისათვის საქართვის დროც გაიღდა და სხვაგვირ მასალებით ხელმძღვანელობის შესაძლებლობაც გამოინახა. იმათ კი, ვისაც ჩეცულ სულისკეთობისაგან თავი ვერ დაულწევით, ის-ლა დარჩენიათ, რომ საქართველოს უკანისკენელი მეფე სახელმწიფო მოღალატედ გამოიცავადნონ: მაში რა სახელმწიფება უნდა მიეცათვნის გვირგვინობას, ქვეყნის სუვერენიტეტის რომ სწერს უთმობს, თუ ჰყიდის?

მე განგებ დავასახელე მეფის საგვარეულოში არსებული განწყობალება, ვინაიდან ამ გარემობას გაღმმეურეტი მნიშვნელობა მიეცა სამეფოს ასახობობის უკანისკენელ ქამთალრიცხვში. ეკვშეუბარებელი ფაქტია, რომ ვიორგი XII-ის გამეფების დღიდანვე ბატონიშვილების უჩრავლესობა არ ერიდებოდა უცილურეს საშუალებებსაც კი ვერ მის ტასტიდან ჩამოსაგდებად. თავთვითანთ საუფლისწულოებში ისინი დემაგოგიურ ფიტაციას ეწეოდნენ მეფის სახელის გასატეხად; გაიძახოდნენ, რომ რესის ჯარი მოწევეული არის იმ მიზნით, რომ ქართველთა მიწა-წყალი უცხოელებს მიეცე შქაშის, რომ მეცე ქვეყნის გამცემია, რომ ის ქართველებს არ ენდობდა და ტფილისი ლექის ჩამებით გაივს, რომ სპარსელები პირიქით დიდ შემწეობას აღუთვევადნენ საქართველოს და საზღვრების გაფართოების პირობასაც კი იძლეოდნენ; მოკლედ, თავშედამტუდარ კულა უბედურებათა მიზნებით მეცე გიორგი გამოკვადათ. დარბაისელი და აუქსერებელი მეცე ბევრაბანი ითქმნდა ამ უნახავ თავსელობას და ბოლოს თავმომზრდებულმა თავის დედონაცვალს, ინტრიგების სულის ჩამდგმელს დარეჯან დედოფუალს ტფილისიდან გასელა დღუებიდან. აი მაშინ მოხდა კველას-მეტე ცნობილი საძაგლი ამბავი,

როცა ბატონიშვილებმა ისარგებლეს მეფის მძიმე სწორებად ჩაგრილ-ნით და იარაღით დედაქალაქს მიაღდენ დედის ვანსათავისუფლებლად.

ამასობაში გამოქვეყნდა მეფის რესკრიპტი მემკვიდრეობის წესის შეცელისათვის იმ სახით, რომ ამიერიდგან მემკვიდრეობის ირიცხებოდა ხელმწიფის უფროსი ძე. ამ რესკრიპტის ძალით ბატონიშვილი დავითი გამოცხადდა ტახტის მემკვიდრეობი (აქ კურძოდ შეენიშნავ, რომ რესკრიპტით დაბრუნებულმა დავით ბატონიშვილმა თავისი კოფაქტურით სრულებით გაატარა მამის იმედები: ღვნერალ-ლეიტენანტის ხარისხმილებული, მემკვიდრეობის მომეტულებულ ნაწილად ტფილისში მყოფ რუსის ოფიციერებთან ატარებდა დროს და საზოგადოო არღვევდა სასახლის ეთიკეტს. თანაც პირწვევაზღვილი ვოლტერიანელი გახდა ლდანავისავით მშეს. ტლილისში დიდი მითქმამოთქმე იყო სასახლეში მომზღვარ ინციდენტისა ვა-მო: ბატონიშვილმა პეტერბურგიდან ვოლტერის სურათი ჩამოიტანა და თავის სამუშაო ოთახში ჩამოქიდა. მეფემ სახლთუხუცეს ელიზბარ ფა-ვლენიშვილის პირით უბრავანა შვილს ჩამოქნესნა „ულვათ ნიშილისტის“ ხატი და როცა მემკვიდრეობ უარი შემოუფეთალა, მეფემ თეოთონ ჯონია ჩამოაგდო კადლიცან სურათი და აგუზგუზებულ ბუხარში უკრა თავი).

1792 წლის კანონის გაუქმებამ მეფის ძმებში უზრუნოსება გამოიწვია. დაწყო ახალი მოძრაობა და რაკი ვამოირკვა, რომ ძევლი მემკვიდრეობის წესით ტახტის მემკვიდრე ერეკლე მეფის უფროსი ძე იულინი ხასიათის სისუსტისა გამო უშოქმედობდა, მოძრაობის სათავეში მეფის ძე ენერგოული განტანგი ამოუდგა. ურთიერთობა შემდგომ ძმებ-შიაც გამწვდიდა. სახელმწიფო ქაოსმა მოიცავ!

ამავე დროს მეფე ერეკლეს უფროსი ძე ალექსანდრე ბატონიშვილი ყარისის გზით სპარსეთში გადავიდა, გარნა არა საქართველოს სახსნელად, როგორც ზოგა პეტონია: ის მაშინ ნაწყვნი იყო, რომ თავის საუფლის-წულოს სიმცირისა გამო მეფისაგან გამოითხოვა ყაზახი, მაგრამ უარი შემოუფეთალა.

სპარსეთის შაპ-ბაბა-ხანმა ისარგებლა ალექსანდრე ბატონიშვილის მუნ ყოფნით და ხელმეორედ შემოუფეთალა ვიორგი მეფეს რუსეთთან კაეშირზე ხელი აელო; მიუხედავთ ამისა სპარსეთი მანნც ვერ გადავიდა შეტევაზე, რაღაც მისი ძალა, როგორც ზემოდ მქონდა მოხსნებული, ამ ხანებში მისუსტუბული იყო როულ სამხელით თბერიაცების მოსახ-დენად. ამას ზედდაერთო სამხელით ვეკვისის სახანოებში ამტკდარი არევ დარევა, ბეკრ შემთხვევაში სპარსეთის წინააღმდევ მიმართული. ალექ-სანდრემ დატყო, რომ სპარსის ჯარი ველაზ დაიძეროდა ჩრდილოეთი-საქნ, ამიტომ ისკვ გადმოვიდა სამშობლოში, ხოლო იმ განზრახეთ, რომ შეერთებოდა ტფილისნე წამოსულ იარის მფლობელ ომარ-ხან! ნიახურასთან, გარეთიახეთში, ქართულ სამათასიანმა შეცდობამ ბატონიშვილების იოანე და ბაგრატის წინამძღვრობით (რუსის რაზმები მკი-

რეწილად ერიცნენ ამ ჯარში) 7 გიორგობისთვეს 1800 წელს ბრძოლა მისურა ომარხანის ჩეილმეტათასიან ჯარს. შემუსაკრილი ლეით ბრძოლა უთავმოლოდ უკუიქა... ნიახერაში დაიწერა უკანასკნელი ამზადი ქართლის სამხედროი ნიჭისა; ეს იყო, შეიძლება ითქვას, გამომშეიღების ძლევის აღლუმი, აღმოსავლეთ საქართველოის სუერენის ბრძანებით შესრულებული. ექ უკანასკნელი აელვარდა ქართული ლონიერი ჩხალი, ხოლო ქართლ ზარბაზნის უკანასკნელმა გრიალმა ისევ ამცნობრუებსაც და მოკერებსაც, რომ საქართველო ფამის მოწვევისას კალვი იტყვის თავის სათქმელს...

ჩემდაცნებურად მომიხდა ისე, რომ წერილის ერთმა ნაწილმა გიორგი მეფისათვის საოპოლოვით ხასიათი მიიღო და ამან ერთგვარად და-ინტერი ჰაზრთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არქიტექტონიკა: მინდოდა თარიღიდე სიტყვა მიმედვნა მეფისათვის, რომლის აღსრულებასთან ერთად შესწუდა სამეფოს სიკუცხლე 117 წლით.

როგორიც იყო მანც ვიორეგ XII-ის საგარეო პოლიტიკა? პასუხი იქნება მოკლე და მარტივი: მეფე გიორგის არ უთქვამს ახალი სიტყვა საგარეო მიმართებაში და ასუც გადაუხრია წინამეფობაში აღებული ვეჭა. მეზობელებთან ურთიერთობის საქმეში ის მხოლოდ აღმასრულებელი და გამგრძობი იყო თავისი მამის ახსებითად შემცირი პოლიტიკისა, ამ პოლიტიკის კა ასაზრდებდა ის მოსაზრება, რომ სამავმადიიანო ქვეყნებშე „ქართლის ბედის“ გადამიამ ზარალის შეტე არაფერი მოიცა. ჰაზრთონტშე გამოჩნდა ჩრდილოეთი ეკება იმპერია, რომლის ზევირთუნი უკვე სკემდნენ საქართველოს სანაბიროებს, ერთმიზეულ რუსეთითან შეკავშირებით ერკელე მეფისა და გიორგი მეფის რწმენით, საქართველოს უნდა გამხსნოდა ხელშეუზღული მშევრით განვითარების სარბიელი. პეტერბურგში მეფე გიორგიმ ივიცე თ. გარსევან ქავევადე დასტურეა, იმავე უფლებაგებითა და იმავე ლიტერატურებით. ამ მხრიց არავითარი ცულილება არ მომხდარა. გადასხვაურდა და აიწერა მხოლოდ საქართველოს შინა საქმები და ექ მეფე გიორგი არაფერ შუაშა!

თავის ერთთან მიწერმოწერაში ხელმწიფე უცვლელად იმის ცდაში იყო, რომ შეძლებისამებრ განემტეკიცებინა ქართული სახელმწიფოებრიობაც და სამეფო პრეზიდენტივებიცა. ეს არ მოხდა მრავალ მიზეზთა გამო და პირველი მათ შორის არის ის, რომ პატარი საქართველო დიდმა რუსეთმა მოატყუა! როგორ — შეტყვიან — მაში გიორგი მეფის წერილი გარსევან ქავევაგაძის სახელშე, რომელშიაც მეფე დაეინებით მოითხოვს საქართველოს მიერთებას რუსეთთან უბრალო პროვინციის სახით? ეს წერილი არის. ხოლო მას უნდა თავიდან ბოლომდის გულდასმით გადაკითხვა და... გაგება. მოკერძეფილ ფრაზებით ბრალდების წარდგენა საკითხს რიდი გააშევებს. აღნიშნულ წერილის ზოგი ადგილი მხოლოდ იმის მარტენებელია, რომ მეფე გიორგიცა და მის ახლო მღვმნიც ქა-



საყოფელად ვერა ყოფილან დახელოენებულნი საერთაშორისო უფლებამოსის ბის ნომენკლატურაში: წერილის წინა ნიშანში, სადაც მიერთებაზეა ლაპარაკი, გარკვეულად და ეჭვის დაუბადებლად ებრძინება ელჩის, ყოველივე პირობის გარე, უდავოდ გამოაცხადოს, როგორც საქართველოს სამეფოს ხელუხლებლობის საეკითხო, აგრეთვე სამეფო ტახტის მემკვიდრეობით ბაგრატიონთა გვარში დაშორნის შესახებ. წერილს მეცნ მუქარითაც კი ამთავრებს: უკეთე ამის შესრულებას იმპერატორი არ ინტერეს, მაშინ დასსნილიქმნას ყოველივე დამოკიდებულება რუსეთთან თვინიერ ჩვეულებრივ მეზობლურ ურთიერთობისა...

პეტერბურგში სხვანარიად ფიქრობდნენ: იქ იცოდნენ, რომ საქართველოს მეფის დღეები დათველილია და უკეთე გამოემუშავებინათ თადარიგი, თუ რა ზომები უნდა მიელო დაფილობრივ რუსის სარდლობას მეფის სიკელილის უმაღლე.

ყველაფერი ასეც შესრულდა: გერერალ ლაზარევის წინააღმდეგობისა გამო, ტახტის მემკვიდრე დაეითი ვერ გამოცხადდა მეცნედ სამეფოში შემოვიდა მრავალრიცხვანი რუსის ჯარი. მართვებამცემბაში ამჟავედა რუსული ყაიდა. იმპერატორი ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 ენერინითვის მანიფესტი მხოლოდ დადასტურება-ლა იყო მომხდარი ოკუპაციისა...

მასუეან დაიწყო თეით ქართველი ერის მასიური წინააღმდეგობა უცხო ბატონობისაგან თავის დასაღწევად. ყველანი მიპხვდნენ, რომ მოსულმა ტლინები ძალის საშუალებით შესწყვიტა ქართული სახელმწიფოებრიობა. ამინტედენ მამულიშვილურ გრძნობებით გატაცებული პატრიოტები. გაჩიდა ბრძოლა საქართველოს აღსაღენად. შთაიწერნენ სახელმოვანი თარიღები...

1832 წლის შეთქმულება ერთი ასეთთავანი იყო.

o 8-67-2

## 1801-82 წლების მანდილება

(მიმოხილვა)

„არა ნიკოლებისა, არა განვირცულებისათვის საზღვართა და ესრეთ-  
ცი უკვე გრიცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მიეიღებთ ჩენი-  
ვის ზედა ტეირისა საქართველოს სამეფოსა მართველობისასა, მხოლოდ  
პატივი და კუმბრიობა სლებერ ჩენიზედა სამღვით ვალს“

ასე იწყება აღვემისანდრი პირელის ცნობილი მანიფესტი. რომე-  
ლიც გამოცხადდა 1801 წლის 12 სექტემბერს, ეს ნიშნავდა საქართვე-  
ლოს სახელში იყო გრიცელის მოსპობას. ახალმა მფარელმა მეგობრობის  
სამოსელი ნაჩირევიდ მოიხსნა. დაბმურობის მახეილი, მთელი საუკუნე  
ათმ მოხერხებულად მაღავდა, საქვეყნოდა გააშიშელა. და გააშიშელა  
სწორედ მაშინ, როცა ჩენი ეროვნული სხეულის სასიცოცხლო ძარ-  
ები გადაჭრილი იყო.... ოლა-ბაშმაღ-ხანის თავდასხმით და სამეცნი-  
კო გა-  
რეულობაში შექმნილი ინტრიგებით; მაგრამ ანგელია-გამოცხადებული  
ქვეყანა არ ნებდებოდა გუშინდელი მეგობარისა და მოკავშირის ზრაბ-  
ებს. იგი აგრძელებდა წინააღმდეგობას... მა წინააღმდეგობებს, მართა-  
ლია, ქართველი შეგადაშიგ კუთხერი და ზოგჯერ წოდებრივი ხასიათი,  
მაგრამ ყველა მღელვარებათა და აჯანყებათა ძირი ერთ კალაპოტში  
იყრიდა თავს. ეს იყო ეროვნული თავდაცვის რჩმა ინსტიტი. ეს მოხდა  
ორი სხვა და სხვა ერთს, ზენ-ჩენეულებათა-ადამიის, ხისიათის და კულტუ-  
რულ თავისებურებათა დაპირისპირებას. დაბალი კულტურის საფეხურზე  
მდგომი რუსეთი პოლიციური საშუალებებით ცდილობდა მოეთურება  
ჩენი ეროვნული აღნაგობის ყველა ნიშნებით. ერთი მოწევეით, ერთი  
დარტყმით.

ჩენის ხალხს საუკუნეთა განმავლობაში მუდამ ესმოდა, რომ რუ-  
სეთი ქრისტიანული ქვეყანაა... ჩენი კეთილის მსურველი, ჩენი მეგო-  
ბარი, ურჯულოების მტერი და მოძულე... და როცა ეს ქრისტიანი მე-  
გობარი მოვიდა, მეგობრული მის მოსკოვიში ვერაფერი დანანახა. პირ-  
იქით, ეს იმ ურჯულოებს ჰგავდა, გუშინ რომ სულს გვხდიდენ. იმ გან-  
სხვავებით, რომ ამ უკანასკნელს ქრისტეს ჯვარით ჰქონდა გულმკერდი  
მოკაზმული.



ფსიქოლოგიურად ამ გარემოებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა შეკრისტავთ ურიგებლობის განწყობილებათა გაღმიერებაში. ამ აზრის დასამტკიცებლად მეტად საყურადღებოა ერთი საბუთი, რომელიც კახეთის შეამბონებებმა თელავის კომენდანტს მისწერეს:

„გაუწყებთ, რომ ჩეენ ბარის და მთის კახელები წერაში გამოცდილები არა ვართ. და თქვენი მოწერილი ვერ გაგვიგია. და გიცხადებთ, რომ ქრისტეშე ხელი არ ავიღოა, არც ხელმწიფესათვის გვიღალატნა. თქვენ მოვალეობით საბაბი. რაც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით იყო გამოცხადებული, თქვენ არ ასარულეთ. თქვენ დაიწყეთ და ბრალიანსა და უბრალოსა აღმიარდით ბაწარზე. მაგრამ ამასც კითმენდით, რაკი ფიცი მიეცით ხელმწიფეს. თქვენ კი, რაც არა გვქონდა, იმას ეგზეუცილებით და ხიშტებით გვართმევდით. გვიხოცავ დოთ ცოლ-შეილს. რაც პური გვქონდა წაილეთ და შიმშილით გვწავიტდით და გვეუძნებოდით: ბალაზი სძოვეთი. მაგრამ ბალაზით როგორ გამოგვივინა ბავშები? მძიმე ბეგარისგან საქონელი დაგვეხოუა და შეზაც გამოილია ტყეში ურმების საკეთებლად. ამისთანა შეუჩაცყოფა ვეღარ მოვითმინეთ და ჩეენი ცოლ-შეილის დახოცვას, ისევ თქვენ დაიხოცენთ“.

რუსეთი რომ კულტურული ქვეყანა ყოფილიყო, შესაძლებელია ასეთი დიდი ტკივილები ამდენი მსხვერპლი არ მოყოლოდა მის საქართველოში შემოსკოლას, — რუსეთი ავდებით და უზრდელად მოპყრისების ადამიანურ ღირსებას, ჩეენს ეროვნულ ენაობას და კიდეც უკვირდა, როგორ ბევრადა ეს ერთი მუქა-ხალხი წინააღმდეგობის გაწევას.

რუსი მთავარმართებელი მარქიზ პაულიში კახეთის აჯანყებულებს ასე მიმირთავდა:

„რას სჩადინართ! რამ დაგაბრძავათ და რა მოიწადინეთ! ნუ თუ თქვენ განჩინებაში დაგავიწყდათ ძალა და დიდება რუსეთის მამაცის მხედრობისა! ნუ თუ სარწმუნოება დაივიწყეთ? შევკრიბე დიდი ლაშქარი და მოედინარ კახეთში!“

მემბოსხენა უპასუხებდედა:

„დარწმუნებული იყვით, რომ არამც თუ ჩეენ ვართ თქვენს წინააღმდეგ, ცელელა ჩეენი ძმები, მთელი კახეთი და ქართლი თქვენი მხეცობის წინააღმდეგ გაესდევით. თქვენ ვეღარ შეგირიგდებით. კმარა! ვეღარ მოესტყუდებით!“

რუსი მოხელე უბრალოდ არ იქადდა. მართლაც შაშინვე გაგზავნ, ჯარი კახეთისაკენ. მეამბოსხენიც გულხელ დაკრეფილი არ იყვნენ ამ ხნის განმავლობაში. მათ მეცედ აირჩიეს ბატონიშვილი გრიგოლ, რომელიც, როგორც სწერდა პაულიში, საშინელ მოწოდებებს ვერცელებდა ხალხში, საყდრებში მის სახელს, როგორც საქართველოს მეფის სახელს იხსნიებდენ... ქადილი ორივე მხარემ ასრულა. მაგრამ გამარჯვებუ-

ლი რესი მოხელე აღმოჩნდა. კახეთის აჯანყება სისხლში იქმნა ჩახში-  
ბილი.

მაშინდელი საქართველო ისეთ შძიმე პირობებში იმყოფებოდა, რომ  
უკუკლებერი მსხვერპლი ისტორიისათვის უანგარიში ივანესის მიცემა  
იყო. ჯერ ერთი საგარეო ეითარებათა სირთულე რომ არ კინგარიშით,  
შეიგნით ჩვენი შდგომარეობა მდენად დასუსტებული და აწერილი იყო,  
რომ ძნელი საგარეოდა, ჩვენს პირობებში რომელი ერთც არ უნდა ყო-  
ფილიყო. შესძლებდა თუ არა თავის გადარჩენას.

იმ-დროონდელი ჩვენი საზოგადოებრიობა ირ ძირითად სიციალურ  
ფერისაგან შესდგებოდა: გლეხობა და თავადაზნაურობა. ეს თრი წოდე-  
ბა კი ხშირიდ მტრულად იყო განწყობილი ერთმანეთისაღმა. საერთო  
ეროვნულმა უბედულებამ არამე თუ განველა, კიდევ უფრო გაამწვევა  
ეს დამოკიდებულება. გლეხებისა და მებატონების ინტერესთა მწერ-  
ვედ დაპირისპირების ხელი შეუწყო რესეთის შემოჭრამ, რომელსაც  
ყმათა მდგომარეობის გაუარისება მოჰყენა.

უწინ თუ თავადაზნაურობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს ხელ-  
მძღვანელობდა და საგარეო თავდასხმების დროს პირველ რიგებში იძრ-  
ძოდა, დღეს ორივე ეს მოვალეობა ჩამომზრდა მას. ეხლა ქვეყნის რე-  
სი მოხელეები გამარტივდენ და საგარეო საფრთხეს მისუე ძამხულერო ძლი-  
ერება ედგა დარაჯადა, ამ გარემოებამ თავადაზნაურობა ამოაგდო თვის  
ისტორიულ კალვიოტიდან. მას არ შეეძლო არც პოლიტიკურად. არც  
ფსიქოლოგიურად მოღიანად ქართულ ნიადაგზე გამიგრებულიყო და  
დაცებით შეზაობისათვის მოეკიდა ხელი. იგი მოკლებული იყო საკუ-  
თარ აწმენას, გარეუელ იდეას და სოფლმხედველობას. უფლებრივი  
მდგომარეობის დაკარგვით და მატერიალურ შესაძლებლობათა შერ-  
ყველი, მას კერძოდ მომაცელის ყველა მაჩვენებელი გზები, რომლითაც  
აწმენში გზა უნდა გავკვლია. და ეს აწმენ ხომ საშინელი იყო. მაშინ-  
დელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შეუბრალებელ მსხვრევას ვა-  
ნიციდიდა რესეთისაგან. ამას ზედ ერთოდა შინაგანი სენი — ბატონ-  
იშობა — ძელმა საქართველოს რომ შემთხვოლა მე-19 საკუნის ახალ  
პირობებში. კარჩაკეტილი კულტურული ტრადიციები და ნატურალუ-  
რი მეცნიერების ფორმები, კუთხერი განაპირება და საერთო ინტერე-  
სების უქმნელობა, წოდებრივი ინტერესების დაპირისპირება — ასეა ი-  
ყო ძელი საქართველო. ყველა ელემენტები ეროვნულად დამშლელ  
როლს თამაშობდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თუ სპარსეთში  
გახიზნული ემიგრანტები ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობათ,  
შეურიგებლობისა და აჯანყებისაკენ უბმობდნ ქვეყნის, რუსეთიდან  
ვასტანგ შე-VI-ეს ემიგრაციის ნაჩენენი და გადაგვარებული ქართველო-  
ბა, რუსული ბატონობის ვანმტკიცებას უწყობდა ხელს. ბაგრატიონთა

დინასტიური შეული აქაც ერთ ზედ-მეტ ჭრილობად დააწინდა ჩვენი გრაფიკულ სხეულს.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამ მიზეზებისა, თავიდაშნაურობის სა-  
უკეთესო ნაწილისათვის მანქც ძნელი იყო რუსეთთან შერიცხვა პირ-  
ველ ხანებში.

როგორც უკვე აღნიშნე, რუსეთის შემოჭრის დროს საქართველო  
პოლიტიკურად და სოციალურად დაცალეცვებულ ერთეულს წარმო-  
იდგნდა. ასე რომ მთლიანი წინააღმდეგობის მომზადება ასეთ პირო-  
ბებში შეუძლებელი იყო. თუმცა არც მთლიან დარიაზმულობას შეუძლა-  
გამარჯვების უზრუნველყოფა. რადგან თვით რუსეთის ჩამოშორებაც  
რომ შევეძლებოდა, სპარსეთ-ოსმალეთის საფრთხე ყოველოფის მოსა-  
ლოდნელი იყო. ამ პირობებში ყოველგვარი აჯანყება დამარცხდებოდა.  
მაგრამ ძეველ საქართველოს მანქც არ შეუძლო სისხლის გაუღებლად ცა-  
კვდილი. აღმოსავლეთის ონავრებთან ომში გაკერძებული ქართველი  
დამიანი წავებულ ბრძოლისაც კი არ ეშვებოდა. თუ მაშინდელ აჯან-  
ყებებს საოთ ეროვნული შეენგრძა და გარევეული პოლიტიკური იღეალი  
არ ამძრავებდა, ლრმა ეროვნული ინსტრუმენტი ამორგებდა კი და პატარა  
მიზეზიც საემთა იყო მის ასაფეთქებლად.

რუსეთი ველური სიტრონქითა და უცნაური უხეშობით ამსხვერევა  
ყვალაფურს, რასაც ეროვნული ნიშანი ჰქონდა ჩეკში. ამის ზედ ერთო-  
და რუსი მოხელეების დაბალი კულტურული დონე, უპასუხისმგებლო-  
ბა და ბორიტომოქმედება, რომელმაც მაშინ ყოველ საზღვარს გადააჭარ-  
ბა. სამოქალაქო წევისის რუსულ ყადაზე გადაკეთება, დაწესებულე-  
ბებსა და სასამრთლოებში რუსული ენის გაბატონება, უზოში ფულადი  
და სასურასათო გადასახაბდებით დაბეგვრა, ბავრატიონთა გვარეულო-  
ბის ძალით გადასახლება, ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება და  
სამღვდელოების დევნა, — ყველაფერი ეს რუსული უხეშობით გატა-  
რებული — ადეილი წარმოსადგენია, ჩანაირ გამორიტებამდე მიიყან-  
და ხალხის მოთმინებას. ჩეკი ვეტდავთ, რომ აჯანყება აჯანყებას მოს-  
დევს და მოელი 30 წლის მანძილზე საქართველოს მიწა ქართული სისხ-  
ლით არ გამშრალა.

ბატონიშვილი დაეითი თავის საქართველოს ისტორიის მასალებში  
ბერ საინტერესო ცნობებს იძლევა როგორც აჯანყებების, ისე მაშინდე-  
ლი მღვმარეობის დასახისათვებლად. —

„მაშინ (1812 წ.) იყო შეკირვებაი ქართველთა მარკიზისაგან ეჯ-  
რეთ: ართმევდენ ხშირად ურჩმთა და ხართა, სახმარად მხედრობისა.  
რომელ ქნინდა დაშთათ ხარი სოფელსა შინა ეგრეც სადაც გავლიდიან  
რესნი ამპირებრივ სოფელსა ცემითა, დატაცებითა და რბევითა თეო-  
ნიერ თეოზისა. და იგი ეგრემცა სიმშილი, რომელ კოდი პური იყო ეჭვს  
მიზანთულად თეთრ ფულად“.

## და შემდეგ: —

„საცა შევდიონ (ჩუსნი) იყო გაებანი მას ზედა მათ, რამეთო სცემ-დინ დედაქაცია, და ხელს ჰქიდებდის და ორმედის პურის ძალითა. ექი მოითმინეს თანხელთა ესე ვითარი სირცეხელი და იქმნა შეოთი რუსთა და ქართველთა“ (იხ. საქართველოს ისტორიის მისალები, პატიონიშვილი დავით, გვ. 101-5).

მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 1812 წლის აჯანყება რუსეთის საგარეო გართულებასთან იყო შეკავშირებული. როგორ ჩვენამდე მოახწია ცნობამ, რომ ნამოლეონი რუსეთში შეიჭრა და მოსკოვი: დაიყავა, ქართლ-იხევთის მოწინავე პირები იბარებინ ერევნიდან აღლებანდრე ბატონიშვილს აჯანყების სახელმძღვანელოდ.

„წელსა 1812, ქ. კ. ს. ფ. მსმენელთა კათა შემოსელისათვის ფრან-ცუცთა შეცდრობისა როსიასა შინა და დაპყრობისათვის მოსკოვისა, რუ-ცა ქონეს-ყველა განთავისუფლება თვისი რუსთავან, და მოუწოდეს ერევ-ნით მეფის ირაკლის ძეს ალექსანდრეს... და აღუთქვეს პირი მტკიც“.

თ აფისტოს ბატონიშვილი თიანეთში იყო —

„მენ მოერიცვნენ ფრან-ცეცხლურნი და კათ თავადნი სრულიად და გლეხნი, შთავიდა მატანს, მუნით შთავიდა შილდას, მენ მოერთო სრუ-ლიად გომა მასარი და ანწუსელნი ლევნი და ჭიშიყელნიცა სრულიად იქნა ბრძოლა ძლიერი, იძლიერენ ჩუსნი და მოსწოდენ თრასამდე სალ-დათნი“.

ეს გამარჯვება ხანგრძლივი არ იყო, რუსებმა როგორც კი ძალა მოიკრიბეს, დაამარტებეს მეამბოხენი და მთელი სოფლები გადასწევს.

როგორც ამ საბოთიდან იჩევევა, 1812 წლის აჯანყება ერთი მხრივ სასურასათო გადასახადისა და მოსახლეობისადმი ეელური მოსყრობის აბარით, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის საგარეო მდგრადიანობის გაო-თულებით იყო გამოწვეული.

„ხოლო წელსა ამისევ 1810 კვალიდ ლაშობდა მეფე სოლომონ წინა აღდგომისა რუსთასა და იწვევდა არზერუბის სარასკარს, რათა ჩამოვი-დეს თურქთა შეცდრობითა და დაიპყროს იმერეთი და გაპყარონ რუს-ნიცა“.

„ხოლო წელსა 1820 იქმნა შეფოთი იმერეთი შორის შეკირევებისა გა-მო რუსთა ზედა. ხოლო ამ ეამს გურიელი ქაიხოსროც უკუღა რუსთა-გან“

„ხოლო წელსა ამასა (1820) აღადგინეს ამბოხი რაჭელთაცა“.

დასავლეთ საქართველოშიც ზემოდ დასახელებული საბაბი თამა-შობდა გადამწყვეტ როლს აჯანყებათა დაწყების საქმეში. მის სანიშ-ნოდ საქართველოს გაფხსენოთ მთავარმართებლის ერმოლოვის მოადგილის ველიამინოვის მხეცური საქცელი; მან შეაპყრობინა მლელელმთავრები:

జీతంత్వాన్ని దేవతలైని, గ్రంథాన్ని జీవిసటాన్ని కోడు అన్ని మందులకు గానికిగ్రా ప్రభుత్వించిని. తాప్రశ్న ప్రాణాధిక్రమ బింబించిని, క్షేత్రంలో శ్వాసాన్వేశ, స్వామ్యాన్ కు వ్యాపారానికి సమాప్తి కల్పించాలని... అమాతశ్శి గ్రంథాన్ని సృహితించి నిషాధాధిక్రమాలని...

అల్పజ్యేశవాన్ధవ్రు ఏకభైర్వాలు తావి వ్యాపారిగ్రహించి మండించాలి:

“జ్యోతి అన ర్యామానారామిల్లు అబాల సాసామానారామిల్లున్నించు దూ అల్పల్లు. రూపుల్లున్ తాగారు శ్వేతించు ర్యుచ్ఛాన్ వాన్కించు బాటునొన్నించులు అల్పజ్యేశవాన్ధవ్రుస్తాన్. అంఱిగ్రహించు గంచ్చిప్పుతో భార్యలించు తాంత్ర్యాధికు. త్రయిలించులో వ్యాఘర్యించు డ్రుచ్చెంబు డ్రుచ్చెంబు. సాక్షేమలు-సాసమేలు దూ సాల్యువ్వెలు సాశిన్లాండు గామ్యించులు. నొలంచి డ్రూచ్చెంబుకావు.”

ამიტომ შეუძლებელი შეიქმნა ჩენენი თავად-აზნაურობისათვის არა მარტო რამე განკარგულება საკუთრების შესახებ, არამედ იმ სხვა პრაკტიკებით საჩვებლობაც, რაც ენიჭებოდათ რუსთის თავად-აზნაურთ: შეილების სასწავლებელში და სამსახურში მიცემა და სხვ. (იხ. აქტები, VIII).

ამ რიგად, საკურნოებით შექმნილ ურთი-ერთობას სამოქალაქო ცხოვრებაში საფუძველი გამოაცალეს და სამაგისტროდ კი არა შეუქმნიათ რა. ერთი სიტყვით, უწესოება და არევ-დარევა ცხოვრების ყოველ დარგში მოსიარდა და აღმინისტრაცია არა თუ ებრძოდა მას, არამედ ძეველ ცოდნებს კოდევ ახალს უმატებდა; მაგ. 1830 წ. გუბერნატორი ზავილებისკი (ბოლო, ამასაც დასადეს ბრიალი, რომ 1832 წლის შეთქმულებას პასიურიად მიანც მხარს უჭირდა) პასკევის მოახსენებდა, რომ ერთი და იგივე ბევრის თრჯერ აკრეფა ხშირად ხდებოდა საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში, მაგრამ ჩაკი არავინ არავითარ ანგარიშს არ აწარმოებდა, შეუძლებელი ხდება კველაფრის სათითაოდ გამოკვლევა (აქტები VII, 33). თუ რომელიმ მოხელე აკრეფილ თანხას გაპულანგავდა, ხალს იმას ხელმოორედ ახდევინებდენ, რომ ხაზინა არ დაზარალებულიყო (იქვე). ამას დაუმატეთ, რომ პასკევის განკარგულებით ქართველთ სამსახურიდან აძევებდენ და ახლებს სულ არ იღებდენ იმ საბუთოთ, რომ მათ რუსული ენა არ იცოდენ. (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 24).

სენატორთა რეკუზია თუმცა ამ სამინელ ფაქტებს აღნიშვნედა, მაგრამ მათ წინააღმდევ წმინდა რუსულ წამალს უწევრდენ ჩეკენს ხალხს, ისე როგორც თვით მთავარმართობელი პასკევისი, რომელიც მძღობდა: „სავირთო საქართველო კველაფრით დავამსვევოსოთ რუსთს: გუბერნია მაზრებად დაცულთ და რუსული კანონები და წესები უკლებლივ შემოილოთთ. არსაც ქართული კანონი არ უნდა კატანებდეს — (იხ. პოტტი) მთავარობამ უნდა შეუცვალოს ხალხს ბუნება და ხასიათით (ეს იგი კარტლის)", და აյս მიტომ სდევნიდა ქართულ ენას და ქართველ ხოსლები პასკევისი.

და სენატორებმაც, ალბად პასკევის გულის მოსაგებად, ამავე ხასიათის „რეფორმის“ შემოღების დაჩქარება მოითხოვეს. ყველაფრით და კველაფრიში საქართველო უნდა რუსთის ორგანიული ნაწილი გამხდარიყო. განსაკუთრებით საინტერესოა — ჩას პირდებოდა ეს პროექტი ქართველ გლეხს...

ცნობილია, რომ რუსეთში ბატონ-ყმური ურთიერთობა უსასტი-  
 კეთი უყო და რუსეთის მთავრობამ ჩეკინშიც სკადა ამ წესის გადმინი-  
 რება, რამაც თავშიც დიდი წინააღმდეგობანი დაბადა... მეჩინიკოვ-იუ-  
 რისონე ისკვების უძრუნდებოდენ ამ საკითხს და თავად-აზნაურთა და გლეხ-  
 თ ურთიერთობაში რუსეთში არსებულ, ჩეკინთვის უცხო ელემენტების  
 შემოტანას ითხოვდნენ, სახელმომართო: უნდა მინიჭებოდა თავადს უფლება  
 1) ურნი გლეხი რუსთავეთის სალათად მიეცა და 2) გლეხის კომიტეტი  
 გადასახლება უნდა შექმლებოდა. ეს ორი უფლება, რომელსც ჩვენს  
 წიარესულში მდგალითი არა ჰქონია, უნდა მინიჭებოდა ეხლა შემამულეთ  
 (აქტები VIII). ასეთი „რეფორმა“, რა თქმა უნდა, ერზ გახდიდა ქართველ  
 გლეხობას რუსეთის რესტურაცია და ყველამ აშერიად დაინახა — რის  
 მოცემა შეეძლო რუსეთის მიერ დანიშნულ „რეფორმას“.

გლეხების ყოფაცხოვერებაზე ასეთ „ზრუნვას“ რუსეთი შემდეგშიაც  
 ცდილობდა და ჩეც კიცათ, რომ ქართველ მეცეთა მიერ და ქართულ  
 ადათით ნაკურთხე უფლება, რომლითაც გლეხთ თავისუფლად შეეძ-  
 ლოთ საძოვრებითა და ტყით სარგებლობა, რუსეთის შემდეგმ „პეტა-  
 რიურმა“ რეფორმებმა მოსპონ და ჩეკინ გლეხიც იმავ უწყალო მდგომა-  
 რებობაში ჩავდომ, რომელშიაც ისნი რუსეთში იმყოფებოდენ. (იხ. ჯა-  
 ვაბერშილის შემთაღნიშნული შრომა). ნათესამილინ საქაოდ იკვერე,  
 რომ რუსეთის მთავრობამ თავის სიცუალურ-ეკონომიკური და დომინის-  
 ტრატურულ-სამართლობრივის „რეფორმებით“ ქართველი გლეხობაც ისე-  
 ვი გადაიკიდა, როგორც ქართველი თავად-აზნაურობა.

მაგრამ უყო კიდევ მეორე მომენტი (და ეს იყო სწორედ მთავრობი),  
 რაც მოედ ქართველ ხალხს აერთონებდა — ეს იყო ეროვნულ-პოლიტ-  
 კური მომენტი.

ქართველი თავად-აზნაურობა მაშინ კიდევ არ დასდგომოდა დიდ  
 რუსიურიაციის გზას, რასაც კორონციონის „ლიბერალობამ“ ფართოდ  
 გაუხსნა შემდეგში კარგის. ქართველი გლეხობა ხომ სულ მოწყვეტილი  
 იყო უცვლესების რუსულს და არც სურჩა რაიმე საერთო ჰქონდა მათ-  
 თან, რომელთაც კერძოციის სახით ჩაუსახლებდენ და ოჯახის დოკუმენ-  
 ტინავებდენ და ნამესს უთასსირებდენ.

ეროვნული დევნია, ქართული ენისთვის დაწესებულება-სასამართ-  
 ლოში კარგის დახშეა, წარსულის ამუნიცი იგდება, ძველ სახელმწიფოს-  
 გინ დაშიენილ ადამ-წესების დევნა, ქართულ წირუა-ლოცვის აქტათ-  
 ვა — აი, ას ტყეილები, რომლებსაც ერთნაირად გრძნობდენ გლეხი და  
 მემამულე, ვავარი, მოქალაქე და შლედელი...

კველა ეს უფრო აქტოველებდა წარსულის იდეალიზაციის; ახლად  
 დარღვეულ ქართულ სახელმწიფოს და მის სამეფოს სანატრელიდ ხდი-  
 და და ქართველი ერის სუეკენობის საკითხს ფართოდ სვამდა.

კველაფერი უარყოფითი, გასაკიცი მოპყვა ამ ახალ ძალას და აპი-

ტომ სწორედ მისი დამხობა და ძევლის გაცოცხლება იყო საჭირო. თუ რა აერთიანებდა ქართველობას და რა აყენებდა გლეხს მემაშულის გვერდით ყველა იმ აჯანყებებში, რომელებზეც ზეცით გვქონდა ლაპარაკი. ამიტომ იყვნენ ყველა ეს გამოსცელები მასიური და სატრო, რასაც რუსეთის წყაროებიც ყველარ მოლაპენ.

აქ ვხედავთ იმ მთავარ განსხვავებას, რომელიც ქართველ შეთქმულებსა და რუსეთის დეკაბრისტების შორის იყო. უკანასკნელმა არ იყო და რა იყო ეროვნული ჩავრა, არ ჰქონდა ნაცადი, რომ ეს უღლილ ხშირად ფერდალურ უღლშე უფრო მძიმე იყო. ამის გამო აზაფერი გამართონებელი არ იყო რილევებისა და ტამბოვის მუეკის შორის და ეს უკანასკნელი „კონსტიტუციას“—აც მარტო იმ აჩაყის გაცლენით მოითხოვდა, რომლის ძალა ზარბაზინის პრეველ ტყვიას თან გადამყავა... და რჩენ რფიურები უჯარიდ და ეს პატიარა ჯგუფი მალე გაანიჭა ნიკოლოზ I-ის სუსიანმა შორის-ძიებამ.

იმ რიგად, ჩერნ ხედავთ, რომ ფაქტიურ მხარის გაცნობა სრულიად აქარწყლებს იმ ოფიციალურ ვერსიას, რომ შეთქმულთა ჯგუფი უმცილ ნიდაგს მოწვევტილი იდეალისტები იყვნენ და ეს „პოლიტიკური დანტრიუქისტები“ ტყვილა იონებოდნენ, რომ მათ ვინმე გაჰყევებოდათ. კიდევ მეტიც — რუსეთის მკვლევარი იმდენად გათავსედდენ, რომ ამ ტრაგედიით სახე ფურულს ჩერნი მატიანესას „რაღაც 30 თავარიან ახალგაზრდების“ უწანურ სიზმრებს ეძახიან და თითქვეს მისი ხელმძღვანელი ბატონიშვილი დიმიტრი ამ აქტით ცდილობდა სამაგისტრო გადაუხადა რუსეთისათვის, რომელმაც მას 1) უფლება წააჩინეთ თავისი თავი ბატონიშვილად ეწოდებინა და 2) სამსახურში შესაფერი წარმატება არ მისუა“—ო... (იხ. პოტიო, ტ. XII, გვ. 192-3).

ჩერნ დაინახეთ, რომ არაფრით არ მართლდება 1832 წლის უკანასკნების „დეკაბრისტებთან“ ერთობის დონეზე დაყენება და არც ის მოსაზრება, თითქვეს შეთქმულება რომ არ გაცემულიყო, მაინც არა ვამოედოდა რა, რადგან გლეხობა მას არ მიემსრობოდათ.

სწორედ ეს გლეხობა იყო მთავარი ასაფეთქებელი მასალა რუსთა წინააღმდეგ 3 თეული წლის მანძილზე და იგივე უნდა გამზღვარის მთავარ ბაზად 1832 წლის ამბებისა.

ამ ვარემოებამ, როგორც აღვნიშნეთ, შეთქმულთ ისინი პირდაპირ საკუთარ აქტივში ჩაარიცვინ და მიტომ ჯერიცერობით საჭირო არ იყო — შეთქმულების საქმის ფართოდ დაყენება; ხოლო საქმარისი იყო საიმედო შტაბის შექმნა, რომელიც საჭირო და ხელსაყრელ მომენტში თავისუფლების ლოზუნებს მოელ ხალხში გადაისროლიდა და ეს ხალხ მყისვე შისკრემდა ხმას...

X

დავებრუნდეთ ამ „შტაბის“ მოქმედებას..

1830 წელს იქნისში ოქტომბირი რუსეთის დამჩრენდა და ტფილიში დასტურა მტკიცე თრგანიზაცია შეუცილებლით. ფ. კიკნაძე, ს. ღორგაშვილი, ელიშვილ და დომიტრი ერისთავი, ალექსანდრე და ვახტანგ იმპერატორი და სხვები იწყებენ პრაქტიკულ ზოქმედებას, რაც გამოიხატება ახალ წევრთა შემცნის და პეტერბურგის პერიოდული ინფორმაციის მიწოდებაში. ამავე დროს მუშავდება დაწვრილებითი გეგმა აჯანყებისა და მომავალი საქართველოს მართვა-გამგეობრისა.

შეთქმული შეთანხმდებით პირველ ხანად, ვიცრე ბატონიშვილები რუსეთიდან ჩამოიტოვდნენ, დიმიტრის უფროსი და, თამარ იულიანის საული იქმნას გამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველოს დე-ოფიციალური დაწვრილების დამატებითი განვითარებისას.

ამ ხანებში თვით საქართველოში და მის საზღვრებზე შედრებითი სიწყნარეა, თუ მხედველობაში არ მიიღობთ დალესტანში ქაზი-მულას დაუცხრომელ ბრძოლას რუსეთთან.

ოდნავ საქმე გაართულ ჭარ-ბელაქანის ტრადიციულმა აჯანყებამ, რაც კალებტანის ბრძოლის გამოხმაურებება იყო ჩეკმის საზღვრებზე. თებერვალში 1830 წელს კახეთი ამის გამო საფრთხეში ჩადორდა და პასკევიჩმა, რომელსაც ამ ერთად ისმალეთ-სპარსეთის საზღვრებზე ჯარი აღარი სციროდა, მთელი სისაციკონი შემცირა ჯარი ამ ერთ მუქა შამაც მებრძოლოთ და მათი სოფლები გააუძირება, ამის შემდეგ მან მოსპო ჭარ-ბელაქანის ავტონომიური თამაზი და ეს ნაწილი რუსეთის შეუერთა. მაგრამ საქმე ამით არ გათავდა და გამზად ბეგის (ქაზი მულას მარჯვენა ხელი) წაქტებით იმავე წლის ოქტომბერში მოხდა ჭარ-ბელაქანის ხელ-ახალი აჯანყება.

პასკევიჩმა ეს ახალი ცდა კიდევ უფრო ძვირად დაუჯინა მებრძოლებს: დიდ-ძალი ჯარებით შეექრა შიგ, ცეცხლს მისცა და სრულიად გაანდგურა ჭარი, ზაქათალა და გოგამი, მათი მეთაურები უწყალოდ დახვრიტა. მცხოვრები კი აპყარა და ალაზნის მარჯვენი გადასახლა. ინგილის და მულანის გლეხობა ძეველ მებატონეთ ჩამოართვა და რუსეთის ხაზინას მიაკუთხა.

ასე დამთავრდა ჯერ ხანად ამ ერთი მუქა გმირ ხალხის დაუცხრომელი ბრძოლი რუსთა ბატონობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ პირობებში, როცა რუსის შედერობას ხელები გახსნილი ჰქონდა, შეთქმულებს არ შეეძლოთ რამე პრაქტიკულ საქმინობაზე ოცნება და მათი მუშაობა ძევლებურად საოჩაგანიზაციო ხასიათს იტარებდა.

მაგრამ, თუ საქართველოს საზღვრებზე სიწყნარე სუფედა, იქ, შორის, ექიმპაში და კერძოდ პოლონეთში იწყებოდა დიდი ამბები, საკაცობრივ მიმშენელობის ჩეკოლუსიები, რომელთა ტალღები, თენდაც შორეული, არ შეიძლებოდა საქართველოსაც არ მოხევდონდა... ამ ამბებმა წელში გამართეს ჩეკი შეთქმული და ეხლა შემდეგ მათ გან-

ეითარებას უცდიდენ... ივლისის დამლექს საფრანგეთის დაუდგა „თირი კეირა“, რომელმაც მეტერნინის მიერ რის ვაიგაგლაშით ხელმეორედ შექმნილი მონარქია დაამხო. კარლის მე-X-ს ვერც პარლამენტის დაშლამ და საარჩევნო სისტემის ხელახლა შეცვლამ უშველა რამე, ვერც აღყირის ექსპედიტორმა ისსნა მისი ტახტი და ტავილა დასკირდა ამ დოდი კეირის მანძილზე ახალ რეპრესიების „მობილიზაცია“. ფინალი იყო — მეუე დედოფალმა გაცემა არჩიეს, ინგლის თავი შეაფარეს და რეკოლუციას გამარჯვება არგუნს.

მართალია, ამ ხანად კიდევ, რევოლუციამ რესპუბლიკა ვერ ჰშვა, მაგრამ კარლის მე-X-ს ნაცვლად ტახტზე „ლიბერალი“ ლურ ფილის დაჯდა და ჯერ ესეც კმაროდა, რომ ეს მეუე მოხუც ლაფაიეტის გვერდით იდგა და კონსტიტუციისთვის ფიქა სდგბდა.

სამაგიეროდ საფრანგეთის ივლისის რევოლუციამ სხვა რამ შვა და ეს იყო ახალ „ივლისია“ წყვებანი.

პირველად ჩევოლუციის ტალღა დაეჯახა ნიდერლანდის სამეფოს; მმ უდლეურ პირმშის მეტერნინისას, „შმინდა ალიანსის“ საფარით რომ ისარგებლა, დიდი მაჟარტელი ხელში დაიჭირა და ეკრიბის რეუა ისე დასპრა და ხელახლა შეაწება, როგორც მის თავში შქმნდა სასურევლად დალაგებული; ეს მას ესაკიროებოდა გამარჯვებით სარგებლობისათვის და ნაბოლეონის წითელ კვალთა სამუდამოდ წასაშლელდა; მისთვის არაფრთ სირთულეს ას წარმოადგენდა ის, რომ ახლად შექმნილ ნიდერლანდის სამეფოში ირჩი ურთიერთისაგან სრულიად განსხვავებული ერი სცხოვრომდა, ორი სხვა და სხვა ტომი, ენა, საჩრდინოება, კულტურა და ტრადიციები; მას შქმნდა წებო და მაერატელი...

ივლისის რევოლუციამ ეს ხელოვნურად შექმნილი ერთეული ვერ შეიგუა და მთელი ძლიერებით დაეძებურა ნიდერლანდურ ტახტს. 24 ივნისტუს დაიწყო ბრიუსელში ეს ჩევოლუცია და ბრძოლები მეტის ჯარებთან გაგრძელდა 22-26 სექტემბრამდე. მეუე დამარცხდა და ბელგიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, რომელიც 10-X-30 წელს ეროვნულ მა კონგრესმა დაადასტურა. ეს ნოვემბერი სხვანაზედაც შექმნა დოდ საფრთხედ წმინდა ალიანსისათვის და კერძოდ რესერტისათვის, ხოლო შეთქმულთათვის ის ბეთოლების გარსკელავად აღმობრწყინდა.

ჩენ აღარ შევწერდებით ივლისის რევოლუციის შემდეგ გამოხმაურებაზე და ძლიერ ტალღებზე, რომელთაც დიდი რეფორმები მოპყვა თითქმის მთელ ეკროპაში და პირდაპირ გადავალთ ნოემბრის ამ მბებზე. რესერტის რო დიდი ციცალი დაუნიონ და საქართველოს შეთქმულებს ახალი იმედები აღუძრა და ახალ მოქმედებებისაკენ მოუწოდა.

პოლონეთის საიდუმლო თრიანიშაციამ, რომელსაც კარგა ნის ისტორია შქმნდა (შედარებით ქართველ შეთქმულებთან) იგრძნო თავისუფლების ტალღის მოხლოება, საფრანგეთიდან რო მოვიზავდა; პა-

ხედა, რომ ებლა ეცრიბას თავსამტცურეულად საკუთარი საქმეებიც ეყოფოდა, რაჯო მეტყენისის მარჯვენაი მირონ ცხებული ტაბტებზე საფუძვლიანი ირყოდენ, და გადასწუვიტა აჯანყების მოწყობა სამშობლის და სამად განკუეთილ სხეულის გასამრთელებლად და გრძსათვეესულებლად. 1830 წლის ნოემბერი უნდა გამხდარიყო პოლონელებისათვის ისტორიულ დღედ. რომელსაც უნდა მოჰკოლოდა დღი პოლონეთის აღდგომა დანქარიდან ვიდრე დაინამდე.

29-XI ღამით სტუდენტების მეთაურობით შეთქმული შეესინ ვარშავის ცენტრალურ დაწესებულებებს და ექრძოდ ბელეველის, საკანიეროს I-ის უფროსის მა, კონსტანტინე (პოლონეთის მთავარი) ჩერულ განცხრობას მისკუმრიდა. სჩერლიად შემთხვევით დაუძირა ის აჯანყებულთ ხელიფან და რესის ჯარითან ერთად სწრაფულ უკან დაიხია.

რუსეთს მმართველობა ისე მოულოდნელი დახვდა ამ ამბებს, რომ საგრძნობი წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შესძლო და ქალაქი შეოქმულებს ჩაუკარგდათ ხელში.

სწრაფულ ჩაისახი ნაციონალური მთავრობა, რომელსაც სათავეში ღიობდებული, ჩართულიდებული და ღენ. ხლოპიცი ჩაუდგენ და ამით რადგან კალურ ელემენტებს გზა შეუკრის და ანარქია თავიდან აიცინეს.

მაგრამ ამ ზომიერებს მეტი ცდა უცვერდათ და საჭეც სამოად უააცივეს; იმის მაგიერ, რომ აქტუარი თავდაცემის საქმე გაერჩივებინათ უა თავიდან კოველგვარი ილოუზიები იყვანიათ, მთავარ-სარდალი ხლოპიცი დელეგაციებს ჰგავნიდა პეტერბურგს საქმის მშვიდობით და ბოლოებისათვის. რუსეთის პასუხ ტრადიციული იყო და ისეთი, ნაკოდოს I-ს რომ ახასიათებდა: ის ითხოვდა სრულ კაპიტულიაციას, ჩაშინ როდესაც აჯანყებული ფაქტიურად გამარჯვებული იყენებ.

იანვარში 1831 წ. შესდგა სემი, რომელმაც თავის ისტორიულ სწრომაზე რომანოვები სამუდამოდ გადაუწევებულად გამოაცხად პოლონეთის ტაბტიდან და გადასწუვიტა დაპყრიბილი თვითსუფლება რარალით დაუცვა. ამ ხნად რუსეთის უკავ მიეცა საშუალება შეტევისათვის მომზადებულიყო და ღენ. ღამიჩი 100.000 რუსის ჯარით გარშევისაკენ დაიძრა. პოლონეთის მაშინ 60.000 ჯარისკაცი ჰყავდა იარაღ ქვეშ და გამარჯვება მანც შეიძლებოდა, რომ საკუთარ ერთსულოვნება ყოფილიყო მეთაურთ შორის.

მრავალ ზრდოლაში პოლონეთის ჯარმა თავი ისახელა, მაგრამ კალიურაში საქმე ცუდათ წავიდა და 26 მაისს შეტაკება რუსებთან, ოსტროლენკისთან რომ მოხდა, საბერისტერო შეიქმნა ახალი პოლონეთისათვის. შალე ღამიჩი ხლოერამ წაიღო, მთავარი კონსტანტინეც გარდაჭყვა ამ ამბებს და ნიკოლოზმა თვალები კავკასიის მოაცყრო; აქ ეგულებოდა მის კავკასიის ფრონტებზე კარგად ნაცადი პასკევიჩი და ებლა მან ეს ჩერებული გამოიყენა სამოქმედოთ.... 1831 წლის ივნისში 3-ს

კეციჩი უკვე პოლონელთა პირის პირ სდგას და მის ახალ მთავარ-სარ-დალს დემბინსკის უტევს.

თითქოს მდგომარეობა პოლონეთისა ფრონტზე უიმედო არაა, მავ-რამ აგვისტოში, პოლონეთის შიგნითი მდგომარეობა მწვავდება, უთან-ხმოება იზრდება და ჩარტორისკი იძულებულია მართვა-გამგეობა უკი-ლურესთ დაუთმოს, რომელნიც კრუკოვიას დოქტატორად აცხადებენ.

პასკევიჩი ამითი გულს იყენებს; 6 სექტემბერს ხდება სასტიკი ბრძო-ლა ვარშავასთან და დამარტინებული ჯარი პოლონეთისა უკან იხევს... ამას კიდევ მოსცდევს მრავალი გმირული ეპიზოდები პოლონელთა ბრძო-ლებიდან სხვა და სხვა აღილებზე, მაგრამ ეს საქმეს ეკლარ ასწორებს და 17 სექტემბერს დოდა ნიწილა პოლონეთის ჯარისა გადალის აცსტრია-ში, ხოლო მეორე და მთავარი ნიწილი კი პრუსიაში, საკა მათ განაირა-ლებენ, გამარჯვებული პასკევიჩი კი ვარშავაში შედის.

ასე ტრალიკულად გათავდა ეს ამბები, რომელმაც თითქმის ერთი წლის მანძილზე რუსეთს ბევრი ციებ-ცხელება აჩვენა და პოლონეთის ხალხის გმირული თავდადება ქვეყანას მოჰყონა. 1 ნოემბერს ნიკოლოზ I-მა ამ აჯანყებას პანაშვიდი გადაუხადა და პოლონეთის ერს ახალი „ა-ნიდესტი“-თ გაუქამაპინძლდა. ალექსანდრე I-ის მიერ შექმნილი კონსტა-ტურა პოლონეთისა გააუქმა და ჯარი პოლონეთისა სამუდამოდ ღა-შლილად გამოაცხადა. 26-II-32 წელს კი გამოიცხადდა პოლონეთში „ორ-განიული სტატუტი“, რომელმაც პოლონეთი რუსეთის განუყოფელ ნი-წილად აღიარა და ყოველი კვალი აკრონომიურ მმართველობისა წა-შალა. აჯანყებულთ კი მამულები ჩამოართვეს და რუსეთის ხაზინას მი-ასაკუთრეს; პასკევიჩმ საჩუქრად ამ ხელახლად დაპყრობილ პოლონე-თის მმართველობა მიიღო...

×

მთელ ამ დრამატულმით საესე ამბებს გულის ფანცქალით ადევნებ-და თვალ-ყურს მაშინდელი საქართველო, ყოველი გამარჯვების ამბები აჯანყებულ პოლონელთა იმედებით უცხებდა გულს შეთქმულთ; ესლა ისინი უფრო მეტი ხალისით და ენერგიით აჩაღებდნ საორგანიზაციო მუ-შაობას და უცდიან ხალ, დღი ამბებს პასკევიჩის სრულ დამარტინებისას. ელიზაბარ ერისთავი, აღმად დიმიტრი ბატონიშვილის ჩემევით, აჩარებს და ავტონონებს შეთქმულთ... ის ამ ხანებში (1831 წ. ზაფხულზე) გაუმ-ულავებს შეფიცულოთ, რომ უკვე დროა ჩვენშაც განიმეორონ ის ამბები, რაც პოლონეთში მოხდა, რათა რუსეთის ბატონობას სწრაფად მოედოს ბოლო; ალექსანდრე ორბელიანიც მის მხარეზეა და ამ გეგმას უზიარე-ბენ იქსე ფალავანდიშეილს (აქტები, (VIII, გვ. 400). ამ ხანებში შეთქ-მულთ ახალი აქტიური შეცვებიც უმატებიან და იწყება მზადება საერ-თო გამოსცელისათვის.

დომიტრი უფრინის ჩვენების დამატებიდანაც („მემუარები“, 22.

147) ოქცევა, რომ, როგორც კი მოხდა პოლონეთის ჩევოლუცია, თაშინ აქაც მზად იყენება დაწყოთ აჯანყება, მაგრამ ეერ შეისრულეს თავიანთი განზრახვა სხვა და სხვა მიზეზთა გამოო. ეს ცნობა დ. ყოფიანისათვის, რომელიც უფრო დაგვაძნებით შევიდა შეთქმულთა წრეში, აუთანდილებს (პირველ შეთქმულთავანს) მიუწოდებია.

ამისთან დაკავშირებით უნდა მოვისტენიოთ ერთი აღვილიც გრიგოლ იორბელიანის ახლად აღმოჩენილ მასალებიდან, სახელდობრ მისი „მეზავრობა“. აქედან, როგორც 3. ინგორიშვის სამართლიანად ჰკონია, ოქცევა, რომ გრ. იორბელიანი შეთქმულთა მიერ დავალებით მოვაჭარობდა ტფილისიდან ჩრდილო კავკასიის ხაზზე და შემდეგ რესეტში.

1831 წლის 9 ივნისიდან 7 ავგვისტომდე უმოგზაურნია ავტორის ჩრდილო კავკასიმდე და დაწვრილებით ალუნიშვილებს: სად, ამდღნი რეგულიარული ჯარი ჰყავდა რუსეთს დაბანკებული, რა იარაღი ჰქონდა მანაწილებს და სხვა. ამის გარდა ის აღნიშვნელს დარიალის ხეობის სტრატეგიულ მნიშვნელობასც. „გრ. იორბელიანის გარევით ანტრესებს ჯარის დისლოეცია სწორედ საქართველოს სამხედრო გზაზე და ჩრდილო კავკასიის მანაწილებში, რომელმაც უშუალო მნიშვნელობა ექმნებოდათ აჯანყების დაწყების დროს. მან ცნობებს გრ. იორბელიანი სჩანს აუდიდა ტფილისში შეთქმულთა კომიტეტს სანდო პირთა საშუალებით“ თ. (3. ინგორიშვი, „დოკუმენტები“, იხ. „საქართველოს მწერლობა“ 28 ჭ. 1).

ამ დროს შეთქმულა წრეს ემატება ახალგზარდა, ენერგიული და ნიშიერი პეეტი გორგი ერისთავი („გლეხარიში“), რომელსაც კერ კიდევ სიყრმისას ჰქონდა რსკეთში კავშირი იქტიოპორ ბატონ—თან. ელიზებრი და გორგი ერისთავი აწარმოებენ მოლაპარაკებას მამუკა ორბელიანთან, რომელიც დიდი მემამულე იყო და კერ კიდევ 29 წელში აჯანყებაში ისახელა თავი ჩადიკალიზით. საქიროა, რომ მისგანაც ჰქონდეს შეთქმულთა დაპირება, რომ ის გლეხობას ასაჯანყებლად გამოიყენებას, და ისიც აღუთქვამს, მაგრამ დრო ხელსაყრელად არ მიიჩნია, ვიდრე როველი არ მოთავდება. მან აზრისა იქნებოდენ ალბად ბევრი სხვანიც (იხ. აქტი, VIII, გვ. 400), რის გამო უშევობესად თუ დაინიხეს ჯერ კიდევ დაეცადათ.

ა. პირველად ამ დროს დაიბადა აზრი სისხლიან ღამის მოწყობითა.

როცა გლეხებს შეიარაღებდენ და განსაკუთრებულ ჰუნტების ახლოს დააბანაკებდენ, უნდა გაემართათ დიდი ბალო, საცა მოწეველ იქნებოდნ ყველა დიდი მოხელე და სამხედრო პირნი და მოულოდნელად ამოერელიტათ ისინი და ზარების ხმით ყველასათვის ეცნოთ, რომ აჯანყება დაიწყო... შეიარაღებული კი დაიკავებდენ არსენალს, სამხედრო მაღაზიებს, ხაზინს და სხვა საყურადღებო დაწესებულებებს. არა სჩანს, რომ დაწვრილებით ყოფილიყოს მან ღმის გეგმა იმ ემად შემუშავებული (როგორც ეს მოხდა შემდეგ 32 წელში), მაგრამ მისი იდეა, ალბად

პოლონეთის „ნოემბრის ღმის“ გაცლენით მეტად ატყვევებდა შეთქმულებს (აქტები, VIII, 401). საერთოდ უნდა კიფიქროთ, რომ ჩენების ფიქრობდენ კველაფერში წაებაძათ პოლონელთათვის და ოჯანყებაც თქომებერში ან ნოემბრში დაეწყოთ, როცა მართლა შესაძლო იქმნებოდა გლეხების უმრავლესობის დარაზმა და გამოყენა.

აქტებიდანვე სიანს, რომ ალექსანდრე რაბელიანისათვის და ელიზაბეტ ერისთავისათვის მიუწლდიათ შეეტყობინებინათ ბატონ—ლ დამიტრიასთვის სასტაციოდ ჩამოსვლა საქართველოში, ვიზრე აჯანყება დაიწყებოდა; მაგრამ სიანს, ეს ცნობა დაგვიანებით უნდა მიეღოს დამიტრის პეტერბურგში, როცა 26-V უკვე საქართველოს გამოარკვია ისტრალენის ბრძოლის, რომ პოლონეთის საქმე გამჭირული იყო. სწორედ ამიტომ დამიტრიმ განიუმება არჩია და პოლონეთის აჯანყების შემდგომ განვითარების დაყდა, კიდრე რასმეს უპასუხებდა შეთქმულთა ცენტრს.

აქცე იქმნა გარდადგმული ნაბიჯი ალექსანდრე ქავეჭავაძის ჩიარებული შეთქმულთა წრეში. ისეთ დიდ გაცლენის კაცს, როგორც იყო ალექსანდრე ჰევეკავაძე, რა თქმა უნდა, დიდი როლის თამაში შეეძლო ამ საჭმეში და მას მთელი კახეთი და ყაზახ-ბორჩალოც მხარს მისცემდა.

საერთოდ ალექსანდრე ქავეჭავაძეს დიდი სიტრანხილე გამოიუჩნია ამ საქმეში, მაგრამ ებლა ჩენებობის უკვე აშეარა, რომ მისი როლი ამ შეთქმულებაში და აერთიანერთიც ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო. ის არ შედიოდა პირდაპირ შეთქმულთა წრეში, მაგრამ თავის ცოლის ძმის საშუალებით (ლუარსაბ რობელიანის, რომელიც, როგორც ვსთევით, ჯერ კიდევ 1829 წლის აჯანყებაში ერთა და შეთქმულიდ ითვლებოდა) მთავარ კომიტეტს დახმარებას უწევდა და დაჩივებას აძლევდა. მან იცოდა, რომ აჯანყების საქმეს ყველაზე მეტ სამსახურს ალექსანდრე ბატონიშვილი თუ გაუშედდა და ურჩია ცენტრს მიეწერათ მისთვის: შემოსულიყო კახეთში და განვითარების დაწყებისათანავე ეს მხარე ფეხზე დაცუცუნებინა; აქ მას იმედი ჰქონდა, რომ კახეთი, ქიშიყი, თუშ-ფავან-ხევსური თავის ძევლ და ნიცად ბელადის დაძახებაზე იარაღს იძღვდა. ალექს. რობელიანს ბართლაც შეუდგენია ეს წერილი კომიტეტის დავალებით და შეთქმულთა ერთი წევრის, ბორჩალოელ თათრის, მოლა ზამანის ხელით გაუგზავნია ალექსანდრე ბატონიშვილისათვის, რომელიც მისი მკიდრი მიხა იყო (იხ. აქტები, VIII, 401).

ამ ხანდაც ალ. რაბელიანის ოჯახში (ხშირად მის ბაღში) იმართებოდა შეთქმულთა კრებები, საცა ყველა ეს კითხვები ირჩეოდა და ალბად პოლონეთის შესახებ ამბებსაც ერთმანეთს აწნობდენ, იქნებ იქსე ფალავანტიშვილის საშუალებითაც, რომელიც იყო მმა ტულილისის ეკულებრინატორისა, ან თვითონ ზავილების საშუალებით. ზავილების მაშინ ტულილისის გუბერნატორი იყო და როგორც სიანს, შეთქმულთ მოახერხეს მასთან კავშირის დაცერა და თავის წრეში ჩარჩევა (იხ. აქტები,

VIII, 402; შენიშვნა 44). დამიტრი ყიფიანის ჩენენებიდან ირკვევა (იხ. დ. კ.—ის „მემუარები“, გვ. 135), რომ ზავილეისკი ახლო მეცნიერი ყოფილა ალექსანდრე ქავჭვაძისა და ამიტომ გასაგებია, რომ პოეტს მოეხერხებინოს მისი გადმობირება შეთქმულთა სასარგებლობა.

როგორც სჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილიდან არ მოსულა დამაკაციულებელი პასუხი (აქტები VII, 401), ან იქნებ ბატონიშვილი არ უქმნიაროდა საქმეს, რადგან აჯანყებებში ბერი და შეარე გამოცდილება ჰქონდა მიღებული და ცულიდა დაწვრილებით ცნობებს, როგორც ვას საერთოდ სხეულია (1820 წ. იმერეთის აჯანყებულებმა მას მეფობა შესთავაზეს, მაგრამ მან ჯერ დელევაცა მოითხოვა დასარწმუნებლად, რომ მართლა მთელ ხალხს სურდა ის მეფე და აგრძოვე უნდოლა გამოერკვია, რამდენიც ძლიერი იყო თვით ეს აჯანყება; იხ. პოტტო).

ამიტომ აჯანყების კომიტეტმა გადასწყვეტა მის დასაყოლებლად (ან შეიძლება სხვა მიწნითაც) ბატონიშვილი თამარი გაემგზავრებინა მისთონ. თამარიც საქირი მზადებას შეუდგა. მაგრამ რაღაცა შეუძლობა და ალი წასულა. იქნებ ამ დროს უკვე მოღიოდა პოლონეთიდან დამატებულებელი ამბები...

ამავე დროს შეთქმული ცდილობდენ ცენტრის განყოფილება და-საელოთ საქართველოშიაც გარდაიტონონ და ამ მიწნით შეპავე მთა-ვარ კომიტეტში თემურაზ ლომაზეითანიც, როგორც წარმომადგენე-ლი იმერეთისა.

შეთქმულებაში ყველაზე უფრო დიდი ენტუზიასტი ალ. რიბელიანი და ელიზბარ ერისთავი იყვნენ და როგორც ჭვაეს, იმათ ალლო არ ატკიცილებდა, როცა აჯანყების აქტიობდენ. პოლონეთის აჯანყებულთა მიერ ხანგრძლივად წარმომადგრად მა მამაურმა წინააღმდეგობამ ისინი დარწმუნა, რომ დრო მართლაც ხელსაყრელი იყო და რუსის ჯარს ევ-რობის საზღვარზე დიდი ხიდათი ელოდა.

მაგრამ პოლონეთის ამ აჯანყების წინააღვე ჰყავდა თავისი ჯარი, რო-მელიც მოავარი დასაყრდენი გამდა ძალა-უფლების რევოლუციონუ-რად ხელში ჩაგდებისათვეს.

საქართველოში კი რუსული ჯარი იღვა და წმინდა ქართული რაზ-მები მარტო დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო-გურიაში) მოიპო-ებოდა და ისიც ოსმალეთთან ზავის შეკვრის შემდეგ დაშლილი იყო ეს, რა თქმა უნდა, საქმეს ეტ უშეველიდა, ხოლო მარტო არა რეგული-არულ, ნაუცრათვებად გლეხთა და მოქალაქეთაგან შექმნილი რაზმები პირველ ხანად მაინც დიდათ ვერ გამოდგებოდა. ამიტომ ერთად ერთი შესაძლებელობა იმ ხანად მანაც ტუილისში მდგომ სასწავლო ბათალიონ-თან კავშირის დაჭერა იყო; ამ ბათალიონში მომეტებულად ქართველი თფიცრობა უნდა კოფილიყო. შეთქმულებმა მოახერხეს ამ ბათალიონის თფიცრებთან კავშირის დაჭერა და მალე ისინი თავის წრეში შემოიყვა-

ნეს; გამოძიებაშ ჩამდინიშვ იმათვანი აღმოაჩინა — ი მათი გვარები: — ნიათალაშვილი, ჯორჯაძე, მამაცაშვილი და წერეთელი... უნდა კაფუქ-რით, რომ სხვა ოფიცირებიც ერივნები ამ საქმეში, მაგრამ შეოქმულების ცენტრთან მარტო ამ სამხედრო პირთ ჰქონდათ უშუალოდ კავშირი.

აჯანყების ღამისათვის ასეთი გეგმა იყო შემუშავებული (იხ. აქტები, VIII, 402): — შეთქმულთა რაზმელები გადაიცვამდენ სამხედრო ტანთსაცმელს და ასე შეუმნისევლად შევიცოდნენ ღამით, როცა ჯარისკაცები შუა ძილში იქნებოდნ, ყაზარმებში. მაშინვე ისინი იარაღის უნდა დაპატრიონებოდნ და შემდეგ წინადადებით მიერმართათ ჯარის-კაცთათვის, რათა აჯანყებას ისინიც მიმზრობოდნ. აშკარაა, ქართველ ოფიცირების სამხედრო ცენტრს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა ყოვლივე და ჯარისკაცებშიც საიდუმლოდ მომხსელებიც ჰყავდა.

აქტებში კიდევ მოხსენებულია, რომ შეთქმულები ცდილომდენ ესარგებლათ ტფილისის მოვლენებშიც გამართულ საჯარო კრიკებით, რომელსაც იურტებელი ხალხი აწყდებოდა თვრიშე. (აქტები, VIII, 402). იმ პირობებში აღბად იმგვარი გხით თუ შეიძლებოდა დიდ-ძალი ხალხის დაუსჯელად შეერება და აღბად ეს სანახავობაზი შეთქმულთა მოხარისელობით და დახმარებით იმართობოდნ. ა. ზღვა-ხალხში ადგილი იყო შეუმნისევლად გარევა და ურთიერთისათვის ცნობების მიწოდება, ახალ თანამედრობთა შექნა, უქმაყოფილების დათვესა მთავრობისადმი, ძველი ადათებისა და ცრონის მოვლენა და სხვა. ერთი სიტყვით, აგიტაციას აქ უკეთესად უნდა ჰქონდა დიდი ადგილი და ხალხიც შეიძლება უფრო იმისათვის ეტანებოდა მას. შეთქმულთა წინადადებით გუბერნატორ ზევილების დაურთოეს ასეთ „კრიკობის“ გამართვის ნება და სჩამს, ბოლოს იმგვარ საჯარო კრებებს მთავრობისათვის არა სასურველი მსკლელობა მიღებიათ. რის გამო გრ. პანკრატიელის ისინი აუკრძალავს.

ამგვარად ცხედდეთ, რომ პოლონების მაჩვებმა შეთქმულების ვიწრო წრე გაარღვია და ეხლა ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული ტურილისში მდგომ სამხედრო ძალასთან და უბრალო მოქალაქეებთან, ხოლო კახეთის და ბორისალოს მაზრის გლეხისასთან მათი მემამულებების, შეთქმულების წევრების, საშუალებით; აგრეთვე ფილიალი იქმნება დასაცლეთ საქართველოშიც. ამ ხანებში მართლაც მრავალი თანამედრობი უნდა ჰყოლოდათ შეთქმულთ და თვით მათი ორგანიზაციიც გაძლიერებულ უნდა უმდა უმფლიოყ რიცხობრივ.

ეს სხვათა შორის სჩამს იმ წერილიდან, რომელიც მაშინ გაუგზავნიათ შეთქმულთ ბატონიშვილ ოქროპირისათვის (უკვე პეტერბურგში, საცა აღბად გადატანილი იქმნა მოსკოვის ცენტრის მოქმედებაც, მეტი ელასტიკურობისათვის და პოლონების ამბებთან დაკავშირებით), საცა ნიათებამია, რომ „ეხლა მათ უკვე დიდ-ძალი წევრები ჰყავთ“ (იხ. აქტები, VIII, 402). ეს წერილი გაუტანებიათ შეთქმულთ თალიაშვილისათვის,

რომელიც ფრიად ენერგიული წევრი უნდა ყოფილიყო. შედმეტი არ იქნება აქეე აღნიშვნოთ, რომ თალიაშვილის მამა (მოძღვარი, რომელიც წინად ს. ლოდაშვილის მასწავლებელი ყოფილა) სპარსეთში გადასულა და იქ აღექსანდრე ბატონიშვილს ხლებია. ეს მღვდელი აღ. ბატონიშვილის, სჩანს, „კავშირად“ პყოლია საქართველოსთან, ალბად მისი შეკლის საშუალებით, რომელიც ჯერ კიდევ სემინარიიში სწავლობდა და შეოქმულთა წევრი გახდა.

მიტომ უნდა ყოფიქროთ, რომ თალიაშვილს მარტო შეთქმულთა წერილი არ წაულია პეტერბურგის ცენტროთან, არამედ მას აღექს. ბატონიშვილისაგანაც ექნებოდა სხვა დავალებანი. როგორც ქვეს, თალიაშვილს უნდა მოვტან ინსტრუქციები აჯანყებისათვის პეტერბურგის ცენტრიდან, მაგრამ იმ ხანად პოლონერთის მდგომარეობა საქამიად შეტყუებული იყო და მას ალბად მოუხდა დაცუდა მდგომარეობის გამობრუნებამდე. კარშიასი დაცუმის შემდეგ კი, საქმე თავის თავად გადიდო და თალიაშვილიც პეტერბურგში დარჩია, საცა ის შეთქმულების გაცემის შემდეგ დააპატიმრეს და ტფილისში ჩამოიყანეს. საინტერესოა, რომ პატიმრობიდან (ყაზახმიბა 1833 წელში) მარტო ორმა პირმა შესძლოა გაცემა; თალიაშვილმა და მოლა ზამანმა (შიერიკად რო გაზავნებს შეთქმულება აღექს. ბატონიშვილთან), მაგრამ დაცემებრჩი (1833 წელ.) ორიც დაიჭირეს ბორჩალოში. თალიაშვილმა ვაკეაცურად იტანა ყოველ წამება და არაფერმი არ გამოტენილა. ცოდნით მან კი სხვებზე მეტი იცოდა, რადგან პეტერბურგის დ ტფილისის წრეებთან ერთობად იყო დაახლოებული. ალბად ამას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ პეტერბურგის ცენტრის ვინობა ნაკლებ იქნა გამომედავნებული და მათში შედარებით ფართო წრეს ხედა სასჯელი.

საქართველოში დაგვიანებით მიაღწიედა ამბები პოლონერის ბელის შეტრიალების შესახებ და ამიტომ შემოდგომაზე აჯანყების მოწყობისათვის მეშვიძება არ დამტერალა. აგვისტოში, როგორც აქტებიდან სჩანს, ქართლში დიდ დღესასწაულზე მოუწვევიათ სხვა და სხვა სოფლის თავადი, როთა მათ ქართლის გლეხობა დაემზადებინათ გამოსსელისათვის. აქ მთავარ კომიტეტის დელეგატებად ყოფილან: ელიზაბერ ერისთავი და მამუკა ორბელიანი. დამსწრეოთ თანხმობა მიუკიათ და სამზადის შედეგობის.

ამ დროს ხალხის მეტ გასამხნევებლად შეთქმულთ, ეტყობა, ხმაც დაურჩეებათ, თითქოს სპარსეთს ომიც გამოეცხადოს რუსეთისათვის და ჯარები საქართველოს საზღვრებს უახლოედებოდენ. ამ ხმებს, ეტყობა, მთავარობის ადგილობრივ აღმნისტრაციას უზედაც მოუხდენია დიდი გავლენა, რადგან ტფილის პეტერბურგიდან სასწრაულ ჯარების გამოგზავნა მოუთხოვია სპარსეთის წინააღმდეგ.

საბუთებიდან სჩანს, რომ გუბერნატორ ზავილეისკის, რომლის სიმ-

პატიები შეთქმულთა მხარეს ყოფილა, არაფრით არ დაუწილევევია ქანკანის სმები და საერთოდ ხელოვნური დაიდი ნერვიულობისა და არე-დარწვის ატმოსფერის ქმნიდა.

სექტემბერშიც მოაღწია და ოცლა დიდი სახალხო აჯანყებისათვეს ყველაფერი შზად იყო, რუსეთიდან გულის გამგმირიავი ამბები ჩამოუტანეს შეთქმულთ: ეპაზე დაეცა, პოლონეთი დამარცხდა და პასკევიჩი იქ ქვის ქვაზე აღარ სტოკებსო... არა მარტო პოლონეთში, არამდე მთელს რუსეთში და კერძოდ კავკასიაში წამოვიდა ახალი სატიკი სუსის რეაქციასა და ზოგიერთ შეთქმულთ მაღლ შეეძლოთ თვალით ერა-ხათ კავკასიაში გადმოსახლებული და დასჯილი პოლონელი ინსურგენტები.

#### X

ამრიგად დაცხრა ივლისის რეკოლეციის ტალღის უძლიერესი ვა-შინატურული, რომელსაც ქართლის ბეჭდის შეტრიალებაც შეეძლო.

დაიმსხვერებ დიდი იმედები და ეხლა საქართველოში რისამე წამოუწყება, რა თქმა უნდა, წინასწარ განწირული უნდა ყოფილიყო და ქართველ ხალხის უაზრი სისხლის ღრებას შეთქმული მოერიდენ. ტყვილა აჩვარებდა ამ ღრის ალექსანდრე ბატონიშვილი მთავარ კომიტეტს. შიკრის შეკრიფშე უგზავნებდა: ნუდარ ავგინებდა, გამოდიოთ და მეც შზადა ვარო. მომენტზე კავკასიაშიც იყო და რუსეთს შეეძლო უსაშინელესი შერის ძიება, როგორც ერთი წლის წინად პასკევიჩმა ჭარ-ბელაქანს უყო და ეხლა პოლონეთს უშზადებდა.

ნიკოლოზ I-ის რუსეთმა სხვაგვარი პასტები არ იყოდა და შეთქმულებს კარგად ემორდათ, რომ საჭირო იყო ახალ მაგისტრალზე გადასველა, დროზე ძალების დემობილიზაცია და ხალხში მომავალისითვის სიმტკიცის და ახალ იმედების აღმდევა.

ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს ეკნომა: ეხლა დრო ხელსაყრელი არაა და საჭიროა დაცდათ (იხ. აქტები, VIII).

მართლაც გასაცარი გამოყდილებით და წინდახედულებით შესძლეს შეთქმულებმა ანგორაშებულ და უკკე აშკრად აღმფოთებულ ძალების ხელახლა კალაპოტში მომწყდლევა და მისი დამორჩილება.

მიუხედავიდ პოლონეთის მაგალითისა, მათ, როგორც სხანს, გული არ გატეხიათ, მოქმედების წრე ვაწროდ შემოურკალავთ და უფრო მეტი ენერგიით შესდგომიან ახალ გართულებისათვის მზადებას. ამ ხანებში, შეთქმულთა პროგრამა ისეთი რადიკალიზმით არ გამოდიოდა ამ ვიწრო წრიდან და ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ, რომ ამ ღრიაში შეთქმულების წევრებად ხდებინ უფრო ზომიერი და თავდაჭრილი პატრიოტები. როგორიც იყვნენ: დომიტრი ყიფიანი, მამაკაშვილი და სხ. ამ ხანიდან ელექტოსავი იჩრდილება უფრო ღრმა და წინდახედულ მებრძოლით, როგორიც იყო ს. დოდაშვილი.

ალექსანდრე ბატონიშვილის ჩრდილოების სოლომონ დოდაშვილი ციც ანალიზის ქვეშ ატარებდა და ფიქრობდა, რომ პოლინეთის დაცუმის შემდეგ საჭირო იყო უფრო დიდი ინტერესი, კონების მოკრეფა და ფართო მასსებში დამოკიდებლობის აზრების გაფრცელება, მაგრამ ალექსანდრონიშვილი მოელი თავის აჩვებით აღმოსავლეთის შეილი იყო და მას დასაცელეთიდან მოტანილის თავიდანეუ არა სჯეროდა; მას თავისი მიღვიმა ჰქონდა ამ საკითხებით და პოლინეთის ამბებს, ეტყობა, იმდენ ინგარიშს არასოდეს არ უწევდა. მას უფრო ინტერესებდა ის, რაც სდებოდა ამიერ-კავკასიაში, საქართველოს მახლობლად, ან ისმალეთ-სამარსეთის გაელენის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე.

დაიგუსტანი ამ დროს ქაზი-მულას დაძახებაზე ფეხზე იდგა და რუსეთის ძლიერებას კავკასიაში დიდ საფრთხეს უმზადებდა. მაგრამ ამ ერთ მუქა ხალხს დიდი რუსეთის დამხმაბა არ შეეძლო და ამიტომაც საჭირო იყო მისი გადაბმა რომელიმე დიდ სამუსლიმანო სახელმწიფოსთან. ხოლო სპარსეთი ამ დროს მოისაოვის შზად არ იყო და ისევ დაუკავშირო ფიქრობდა რუსეთთან მეტის მიღწევებს. მას კარგად ახსოვდა ერმოლოვის და პასკევის ჩრდილოების სასირცო „თურქმენების ზაეიپ“ ხომ ახალი ამბავი იყო...

ოსმალეთს კი ებლა-ხან (1829 წ.) ჰქონდა შეკრული ზაეი რუსეთთან და ახალ ომზე ოცნებაც კი არ შეეძლო, მას შემდეგ, რაც თავისი ჯილტობით საბერინეთი მთლად დაკარგდა და იძულებული გახდა მისი დამოკიდებლობა ეცნო, და ბალკანეთზეც საქმე უკუღმა წაუვიდა. მაგრამ აღმოსავლეთის დიპლომატიის და ფრინაბის კარგად მცოდნე აღეს. ბატონიშვილი არ სტუცევდებოდა და მის მიერ ქაზი-მულასათვის მოკავშირის ძიება არც თუ მთლად უიმედო იყო.

საქმე შეეხმოდა ეგვიპტე და ისმალეთის ოშს.

ჩენენ პირელად გვაოცებდა ზოგი ადგილი გრ. ოჩბელიანის რუსეთში დაპატარიმების დროს წარმოებულ დაკითხვიდან, რომელიც ი. ვეუნარების ჩატური შემდეგში გრ. ოჩბელიანის კარნახით, სიტყვა-სიტყვით (მომზე " 1904 წ. IX) ეს სინტერესი დალოგი რამოდენჯერმე იყო აღნიშნული პრესაში და ამიტომ აღარ მოიყენო მას.

ამ დაკითხვიდანაც სიანს ეგვიპტეს ფაშის რაღაც კავშირი შეთქმულებთან, რაიც ალბად ალექსანდრე ბატონიშვილის მეცადინეობას აუ მიეწერება.

რაյი 1832 წლის შეთქმულების ახალ აზეირთებასთან ამ ამბავს ახლო დამოკიდებულება ჰქონდა, უნდა კოტათი მაინც გაეცნოთ მას.

X

ეგვიპტეს ფაშის ამ დროს ცნობილი და ზეიალი მაპმედ აღი იჯდა, რომელმაც შესანიშნავი კარიერა გააკეთა და საფრანგეთიდან გამოწერილ თვიციტების წყლობით შესანიშნავი, მოდერნული (იმ დროისათ-

ეს) იარაღი შეიძინა და ჯარიც შექმნა. იყო იყო ვასალი ოსმალების სულთანის მაჰმედ II და დიდი სამასახურიც გაუწია მას დამოუკიდებელობისათვის გააფირებით მებრძოლ საბერძნეთის წინაღმდეგ წარმოებულ გრძელ იმებში. ამან მას საბაბი შეცა თეისი აეტონომიური სამცულობელის საზღვრები გაედიდებინა. მას უკვე საბერძნეთის იმების დროს მითივისებული პენინდა კაბრისი და კანდი და ქელა ის დამასკოს საფეხმავაც ითხოვდა სულთანისაგან, რომ ამნაირად მდიდარი სიჩრია შემოერთებინა და გზა გვეკაფა მცირე აზის სხვა პროვინციების ხელში ჩისაგდებად.

საფრთხე მართლაც დიდი იყო ბრწყინვალე პარტასათვის და მანაც ციფრ უარი შემოუთვალი მავმედ აღის.

ამ უკანასკნელმა კარგად იცოდა დროის გამოყენება; ხელავდა, რომ იცლისის რევოლუციაში ეკრაპის მონარქებს ტახტები დაუმსხვრია და ამ-ხელად აღმოსავლეთის საკოსისათვის მათ არ სკალოდა. ამიტომ მაპ-მედ ალიმ მის შეიღობილს, მხნე იბრაჰიმს (ბერძნებთინ იმებით რომ თავი ისახელა) უბრძანა დამტულიყო და ჯარებით შეკრილიყო სიჩრა-ში. ოსმალეთი მრავალ იმებისაგან დაშუსტებული და კეონიმიურადაც დაუძლურებული იყო და დიდი წინაღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. იბრაჰიმმა მალე აილა გაცა, იაფა და იერუსალიმი და აქეს ალყა შემოარტყა. ამრიგად, მთელი სიჩრია საშიშო მდგრადიერობაში მოექცა (ოქტომბერ-დეკემბერი 1831 წ.). და ოსმალეთი ქელა მარტო გარედან ეძი-ებდა შეელა. მაგრამ ამ კამად აღმოსავლეთში წინასწორობის დაცვი-სათვის ევროპას, როგორც გასტვით, არა სკალოდა და ურთიად ერთი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც იყლისის ჩევოლუციას შშიცილით გადატრია და ამნაც პოლონეთის პროვინციად გამოტაცება შესძლო, რუსეთი იყო; და დაიწყო თურქეთის დოპლომატიაშ მუშაობა, რუსეთის ეგვიპტეს წინაღმდეგ ამში ჩისაბმელად.

ეგვიპტის ფაშა ეს ამბები, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა და მას მართლაც არ ასევნებდა შიში დიდი რუსეთის იმში ჩარევისა. ამ დროს მისითვის ყოველი ასაფეობებელი მასალა რუსეთის სანდევრებში დიდი წამალი იყო და მანაც დაუწიუ მიება უახლოეს კავკასიაში და კუ-რძოდ საქართველოში რუსეთის საწინაღმდეგო ძალებს... თუ რუსეთის ერთხელ კიდევ გაუჩინდებოდა პოლონეთის ფჯანების მსგავსი ცეცხლი, ის საგარეო ავანტიურაში ველაზ ჩაებმებოდა და ოსმალეთი მარტო კი ვერას დააკლებდა მავმედ ალი ფაშას.

კავკასიაში ასეთი მასალა ბლომად მოიპოვებოდა, მით უმეტეს, ჩრდილო კავკასიაში ამ დროს გრძელი გველისაც სახელი ქაზი-მულასი და ვა-შზად ბეგვისა.

და ას, ალექსანდრე ბატონიშვილსაც, სიანს, ცდა არ დაუკლია ამ სიტუაციის გამოსაყენებლად და მოუნდომებია ქაზი მულასი, რომელთა-

ნაც ის დაახლოებული იყო, და ეგვიპტეს ფაშის დაკავშირება. ამას შემთხვევაში დაახლოებული მაჰმედ ფაშის დაინტერესება საქართველოს შეფერულობის თა თანამდებობით და შესაძლოა შესაფერი მოწოდებით მომართა კი დაც ეგვიპტის ფაშის საქართველოს განმათვისუფლებელ კომიტეტს: ან მთელ ქართველ ხალხს შესაფერი ფირმანით მიმართა.

აქედან გასაგები ხდება გრ. ორბელიანისადმი დასმული კითხვა მოსი დაბატიმერის წინ: „რა მოწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშით...“

მასალებიდან ჩეც ვტყობილობა, რომ 1832 წ. დამდეგს უკვე გა- ცარებული მიწერმოწერაა ერთის მხრით შეფერულთა და ალექსანდრე ბატონიშვილის შორის, ხოლო მეორეს მხრით ბატონ—ლ ალექსანდრე- სა და ეგვიპტეს ფაშის შორის.

შეფერულის მოღა ზამანის ჩვენებიდან იჩკვევა, რომ ალექსანდრე ბატონ—ის შიერის ბალა მამედის მისთვის უამბრია, რომ ეგვიპტეს ფა- შის ორი დელეგატი ხლები ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთში გა- ნსაკუთრებული მონდობილობით და ფირმანებით, რის შემდეგ ალე- ქსანდრე ბატონ—ს თვის მხრივ ბალა მამედი და გარსევან ჩოკაშვილი წარმოეგზავნია საგანგებო მონდობილობის წერილებით ქაზი მულას- თან და ლევეტის თემების ზოგ მამასახლისებოთ. უკანასკნელთაც არ დაუყორნებით და უპასუხნიათ იმავე პირთა საშეღლებით ერთი მხრივ ალექსანდრე ბატონი—ის და მეორე მხრით — თვით ეგვიპტეს ფაშისა თვის (აქტები, ტ. VIII, გვ. 404). შევეიძლოა ადვილად წარმოედინოთ, თუ რა იყა საგანი ალექსანდრე ბატონი—ის მიწერმოწერისა და რას ავალებდა მსა ეგვიპტის ფაშა, რომელმაც იკოდა ალექსანდრე ბატონ— ის საიდუმლო ძალები ქაზი მულასთან და საერთოდ დაღესტანთან და იყრდა ისიც — თუ რა დიდა აეტორიტეტი ჰქინდა რუსეთის შეურიცე- ბელ მტრის, სახელმისამართის შეფის ძეს მთაში...

მაგრამ თუ შეფერულთა რადიკალური ფრთა (ალ. ორბელიანი, იქც ფალაგანოშვილი, გ. ერისთავი, ელიშვილი ერისთავი), დროს უკვე ხელ- საყრელად სკნობდა და ალექსანდრე ბატონიშვილის დაძახებაზე ეხლავ გამოხმაურება სურდა, მეორე ფრთა ს. დოდაშვილის, ფ. კირაძის და თვით თამარ ბატონიშვილის მეთაურობით საქმეს კოტა სხვაფრიდ უცრ- ჩებდა და მდგომარეობის მეტ გართულების უცდიდა. მანამდის კი ფა- რთა მასის გათვითუნობიერებას ეწეოდა და ხალხის გულში თავისუფ- ლების წყურევილს ალეიქსანდრა.

აქ იწყება შეფერულთა მიერ ინტენსიური სალიტერატურო მოღვა- წეობა, რომელსაც პატრიოტიზმის პროპაგანდა დაუსახავს მიზნად და მოუხედავად უმძიმეს საცენტრო პირობებისა, მაინც ბევრს აღწევს.

ერთის თვალის გადავლებით მაინც უნდა გავეცნათ შეფერულთა მუშაობას ამ დარგში, რითაც შათ ქართულ კულტურულ საქმეს დაუ- ფისებელი ლაშილი დასდეს. ამ საშუალებით ჩვენ უფრო ახლოს გავე-

ცონბით შეტქმულთა პირად განცდებს და მათი სურათებიც, ღოფუმენ-  
ტებიდან ასე მერთალად ჩოშ გამოიყერებიან, უფრო გაცოცლდებიან  
ჩეენს წინ.

×

ზევით უკვე გვერნდა ნათქვამი, რომ ჯერ კიდევ 1827 წელს, ბერ-  
მა ითან ხელაშეიღმა, რომლის ნაწერები დღესაც ქართულ ლიტერა-  
ტურისათვის დიდ განძულებას წარმოადგენს, ს. დოდაშეიღლს დიდი  
დაბმარება ვაუზია ტფილიში სტამბის გასასწერელად და საქამაოდ დიდი  
თანხაც ვადასცა.. ამ საქმეში ბატონიშვილებიც ერივნენ, რომელთა მი-  
ზანი იყო კულტურულად გამარტახებულ საქართველო როვორმე უკა-  
ზე დაკავებინათ. მათ წინ იყო დიდი ისტორიულ - კულტურულ ღვაწ-  
ლის მთავრობით გახტანგ VI-ს დროის ემიგრაციამ რო დასდო ქართველ  
ებს და ბუნებრივია — ეს წყურებილი სამშობლოს მწერლობის სამსახუ-  
რისა — მათაც ჰერნოდათ. ეს მით უმეტეს შესაძლებელი იყო, რომ მ. თ  
წრებიაც უხვად იყვნენ შეიგნონაზნი და შეტრანსიც, რომელნიც ქარ-  
თულ ქნარს და ქერძოდ ბაგრატიონებისას თავიდანვე დამლეროდნ. სა-  
კმარისია მოვიყონოთ დავით გიორგის ძე, უკანასკნელი პრეტენდენტი,  
რომელიც ოუმცა აღზრ მიიკვეთა (1819 წ.), მაგრამ მისი ისტორიული  
ნაწერები და პოეტური მემკვიდრეობა პრეტერბურგის კოლონისათვის  
უცნობი არ ყოფილან; ბატონიშვილი ითანებ, ბატონიშვილი თეიმურაზ  
(ისტორიკოსი), ბატონ, ფარნაოზ, ვახტანგ, მირიან და მრავალნი სხვ.  
მართალია,, ამ წყებას იმ დაპაპონის შეტრალები არ მოუკია ჩეენთვის,  
როგორიც იყვნენ ვახტანგ მეფის დროის პირველ-ხარისხოვანი შემოწე-  
ბი, მაგრამ მაინც მრავალმნიშვნელოვანი იყო ჩეენ მწერლობის ვანერ-  
თარების საქმეში ამ უკანასკნელ, ნებით და უნებლიერ ემიგრანტებაზ  
ქცეულ მოღვაწეთა როლი. შორის გარდახუცეშილობაში მყოფნი, რომელ-  
თა სმენამდე აღწევდა საქართველოს კრენა, ისინი უფრო მწევედ  
გრძნობდნ სამშობლოს, მწერებს და ყოველ-ნაირად ცდილობდნ უკა-  
ნასკნელი ძალები მის სამსხვერპლოზე მტლად ფაედოთ.

ერთი ნაწილი შეაღწის ხელს იღებდა და რუსეთის წინააღმდეგ აჯა-  
ყებაზე ექცემობდა და ჩეენ ვნახეთ, რომ ესენი იყვნენ პიონერები შე-  
ოქმელებისა, მეორე ნაწილი კი კულტურულ-ეროვნულ შტომას ეწერ-  
და და პატრიოტიზმის გაღვიყებას ძევლის შესწავლით და დაკეირებით  
სცდილობდა; და ამ მხრივ ამ მეორე ჯვეფის მოქმედებაც იმდენისადა  
უკავშირდებოდა შეოქმელთა იმ ახალ გეზს, მათ რომ პოლონეთის და-  
მარტინების შემდგომ აიღეს.

ამანად პეტერბურგში საქამია სალიტერატურო მასალა იყო და-  
გროვილი და საგირო იყო მათი გამოცემა და ქართველ ხალხში ვაკე-  
ცელება. ამ მიზნით გამოსტუმრებს იონა ხელაშეიღმა და ითანებ ბატო-  
ნიშვილმა ს. დოდაშეიღლი ტფილის 1827 წ. (ჩეენ ვიცით, რომ დიმი-

ტრი და ოქროპირ ბატონიშვილთაგან ს. დოდაშვილს სხვა, მოავარი და-  
 ვალებაც ჰქონდა). ამიერ დროს სჩანს მას პეტერბურგილანვე გამოატა-  
 ნეს ზოგი დასასტამბაცი მასალაც; მაგალ. წყაროებიდან ვიცით, რომ  
 იონა ხელაშეიღია ლექსიკონი გამოატანა თავის გაზრდილ ს. დოდა-  
 შვილს ტფილისში დასაბეჭდათ. (იხ. დ. კარიჭაშვილი: „ვინ არის „კალ-  
 მასობის“ იეტორი?“ საქართველოს არქივი გვ. 39). ისკვევა, რომ იოანე  
 ბატონიშვილის ნაწერები (რომელიც კეშმარიტად იმ დროის ქართველ  
 ენციკლოპედიისტად უნდა ჩაითვალის) ს. დოდაშვილს ტფილისში უნდა  
 გამოიცა. ამ ხანებში იოანე ამზადებს ახალ ტექსტებს თვის „კალმასო-  
 ბისას“ და სწორს კერძო შრომებს: არქიტექტურაზე, არტილერიაზე, მეც-  
 ნიალობაზე, ბოტანიკაზე, ნატურალურ ისტორიაზე და სხვ. (იხ. კარი-  
 ჭაშვილის ზემო დასახელებული შრომა). ამას გარდა ღლასინიშვილი მასი  
 „ქართული გრამატიკა“. ეს უკანასკნელი იონა ხელაშეიღის შემდეგში  
 გამოიუგზავნია ტფილისში დასასტამბად ს. დოდაშვილისათვის (1829  
 წელს) და თან მოუწერია: „ამა, ესრი შეკორეც ღლამატეკისა ამის შე-  
 მზადება მეტის ტეს იოანეს და შეთხხა სიყვარულისათვის ღვთისა და  
 მამულისა... და სხვ. (იქვე გვ. 44). რომ იოანე ბატონიშვილის ნაწერე-  
 ბის დასტამბება ს. დოდაშვილის გამზადების წინადაც იყო განზრისუ-  
 ლი, ეს ირკვევა იონა ხელაშვილის წერილიდან ბატონიშვილ იოანესად-  
 მი, რომელიც დათირიღებულია 30 აპრილი 1826 წელი: „თქვენ შორის  
 თოორეტიკა ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა დაუნაერებულ არიან  
 ხელითა და პრაქტიკანიცა კუთილმსახურებისა და ხელოვნება მათემა-  
 ტიკურნი და მხატვრობანი და მეურნილობისაცა ნაწილნი და ფიზიკუ-  
 რნი ცნობანი, სჯულვილება და სჯულებთა თხნები და ისტორიათა წე-  
 რანი, და წიგნებთა საკუთარნი თქვენი სწავლები სარგებლობასა მამუ-  
 ლისასა, უკეთ გამრავლებნენ ხაბეჭდავებითა, რომელ დღე და ღმერ-  
 ათეთ წერითა, რათამცა ხარგებლობანი შესძინოთ ერთა, სიბრძნისა და  
 მამულისა მოყვარეთა“. (იქვე გვ. 46). მიგრამ სამწუხაროდ, ს. დოდა-  
 შვილმა კერ მოახერხა ამ ღირსეულ ნაწარმოებთა გამოკვება და ღღარ-  
 ებირსა „გამრავლება საბეჭდავებითა“ იოანე ბატონიშვილის თხზულე-  
 ბათ. (კნობილია, რომ „კალმასობის“ ერთი ნაწილი პირველად „ცისკორ-  
 ში“ დაბეჭდა 1862 წ.).

სჩანს ს. დოდაშვილი, როცა შეთქმულთა წრეს დაუახლოედა, სხვა  
 აზრს დაადგა და მიზანშეწონილად დაინახა აქტუალური ხასიათის მა-  
 სალა მოეთავსებინა თავის „ტფილისის უწყებან“-ში, რომლის გამოკვ-  
 ება მან 1828 წელს დაწყო.

ხალხში პრაქტიკულად ფეხს იღვამდა დიდი ეროვნული მოძრა-  
 ობა და მიტომ უფრო საგიტაციო, პატრიოტული ხასიათის შემოქმე-  
 დება შეეცცლოდა მომენტს. მალე მან ამ გაზრეთს „სალიტერატურო და-

შეტებულთა „ბრძოლის ლიტერატურა“.

აშენად, რომ ეს გამოცემა ლიტის ინტერესით იყიდებოდა იმ ზანებში და თავის მიზანს მძიმე საცენტრო პირობებშიაც ნათლად ემსახურებოდა; ამ გამოცემას, ეტყობა, თანამშრომლებიც ბევრი ჰყოლია; ამის შესახებ ს. ლოდაშვილი სწერდა თავის ძმის პეტერბურგში: „მე აწინდელსა მდგომარეობისათვის მამულისა ჩეკინისა, ესრედ მოხარელი იარ, რომელ მომატებულ შესძლებელ არს, კული ჩემი მარად დღე ტრიუალებს; ვინაიდან მჩავალთა ახალგაზრდათა ეკუთა იწყეს თხერება მშენებირთა სტიხთა და აღწერა პრიზაც სხუა და სხუა სავანთა, რომელთაცა იხილავ ქართულ გაზეთს „შინა“. და ვანაგრძობს: „აწ ზელმიწერით პსუნეს მემამულეთა ჩეკინთა“ (ესე იგი მამულიშვილებმათ) „რომელ უკუთუ ვანათლებულ იყვნენ, მიალწევდნ უმაღლეს ხარისხა-მდე და ბეჭნიერებასა, ამის გამო მიიქცნ მას სამცალებისაღმი, რომელიც აწარმოებს ალევავებასა სამშობლოსა ჩეკინისახა“ (იბ. 3. გუგუშვილის „ქართული წიგნი“, გვ. 124).

ამ მხრივ ს. ლოდაშვილის გამოცემა ბევრად უფრო წინ იღება პირველ ქართულ გაზეთზე („საქართველოს გაზეთი“), რომელიც 1819 წ. გამოიიდა. ამ შებრძოლ და კულტურისა ქართველ ინტელიგენტს შართლაც შეეძლო გაზეთისათვის თანადროული ხსიათი მიეცა და შეთქმულთა საუკეთესო ლიტერატორებს გაძლილდა. მას ჰქონდა თავიდან-ვე შემოქმედებითი ტრადიცია, და ჩეკენ ენაზეთ იმ ოლტროვანებულ „ვიძლენაში“, რომელიც მან დაეით ბაგრატის ძისათვის დასწერა, თუ რა გვარი ცეცხლოვანი პატრიოტიში იყო მისი კალმის მთავარი მოტივი.

ცნობილია, რომ მის პორტფელში სხვა მჩავალი „აღმაშენოთებელი“, მასალაც აღმოაჩინა მთავრობამ. მოვიყენოთ ერთიც. რომელიც პრხხანაშვილს უნდა ეთარგმნოს რესულ თარგმნიდან:

„მისი მიწება მოწევება ქართველთა ძალის გამოხატველი!

აფილოთ ხელში მახვილი და დაესცეთ მტერს შიშისა ზარი!

შეცერამოთ მოხალისენი, თავშე დაეცესათ შეღერადა.

გადღენოთ ძალით მოხსულნა, სამშობლო მაობრებელნი!

ქართველებო, ხართ და საღმე?.. არაენ იცის, გონის მოდით“.

(იბ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ გვ. 16).

მის სხვა მჩავალ ნაწარმოებთა დასახასიათებლად, საქმიანია აღვნიშნოთ ისტორიული თხრობანი მეფე ერეკლეს თავგადისავალთა შესახებ, რაიც ს. ლოდაშვილს 1832 წლის დასაწყისში მოუთავსებია თავის გაზეთში. ეს მიმოხილვა სკმალდ ვრცლადა დაწერილი (იბ ს. ესამის „ისტორიჩესკია ზაბისკა...“ გვ. 9—18), და შიგ გატარებულია ის აზრი, თუ რა დიად შედგებს იძლევა ერის ცხოვრებაში სიმტკიცე, შენეობა და გატანა ურთი ერთისა; ამ მაგალითით მას უნდოდა დაენახებინა თა-

ნაშედროვე ქართველთათვის ქრისტის მხრივ სამაყო და სასახელო წარსული საქართველოსი და მეორეს მხრით იმედი შოთავნერგა, რომ მრავალრიცხოვანობა მტერთა სამიში არ არის, ეიდზე ქართული სულის სიმტკიცემისაცმა შენახულია და მისი ქრისტია დაცულია...

ამავე ხასიათის ისტორიულ მოთხოვობებს ათავსებს ალექსანდრე იან-ბელიანი, რომელიც აგრეთვე ცნობილია როგორც პოეტი და დრამატურგი. ალ თანამდებობის აჯანყების ენტუზიასტი იყო და ლიტერატურულ შეიღლა ბატონიშვილისა, და თუ მისი ნაწერთ რაიმე შუნი დაუუძაბა, ესაა გადაჭარბებული იდეალიზაცია წარსულ დროთა. მაგრამ ვეს პეტონდა სულ სხვა პოლიტიკური მინები და მიტომ სმარიბდა ქარბ მუქ ფერებს, რომ კონტრასტი ძეველსა და ახალს შორის უფრო აშენა გამხდარიყო მამულიშვილთათვის. მიტომ სააგიტაციოდ ეს პატრიოტული წერილები მართლაც იუცილებელი უნდა ყოფილიყვნენ იმ ჩანად (იხ. ალ. ხახანაშვილის და გ. კოტეტიშვილის ქართული ლიტ. ისტ.).

უკრანაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა გომისთავეკა, რომელიც უკვე 17 წლის ჩაება შეთქმულთა წრეში და მისი აქტივური მონაწილე შეიქმნა. დღიდა შეიღლის უკრანალში მან მოათავსა პოემა „ოსური მოთხოვობა“. იმ პოემაში „იყო აღწერილი ელიზბარ და შალვა ერისთავთა და ბიძინა ჩოლოვაშვილის თავდადება სამშობლოსათვის და ავრავე მოწოდებაც, რომ მაშინც ქართველთ მიემაბათ მათონის და გაედევებინათ თაოჩები (დგულისშემზე: აუსკბი)“ (იხ. გ. ჯავახიშვილის წერილი: „ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი“ გვ. 174).

„ოსური მოთხოვობა“, ამბობს პ. გუგუშვილი, „იყო მართლაც ღრმა პატრიოტული პოემა და საკეიირევლია, თუ როგორ გაუშვა ის მაშინდელმა ცენზორმა; ალანიშვილენა, რომ პოემაში ხშირია წერტილებით შეესტებული სტრიქონები, ცენზორისაგან აღკრძალულ სიტყვებისა, თუ აზრებისათვის, ზოლო გაშეოთხ მეოთხე ნომერში მოელი ტაქტია წერტილებით დაფარებული“. (იხ. „ქართული წიგნი“ გვ. 107). და უემდედ დასძებს: რომ დასასრული მოთხოვობის (პოემის) ცენზორს სრულებით აღუკრძალავს. დ. ყოფილიც თავის „მემუარებში“ აღნიშვანეს, რომ ერთ-ერთ სალიტერატურო საღმოშე, რომელთაც აღბად ხშირიად მართავდნ შეთქმულნი, გ. ერისთავს წააკითხეს ზეპირად ზომიეროთი აღვილები „ოსურ მოთხოვობან“-ით და თან დასძებს, რომ ის „ნათევამი იყო საქმიად მაგრად“-ით. აქედან უნდა დავისკვნათ, რომ შეთქმულებმა აეტორს სთხოვეს ცენზორის მიერ აღკრძალული აღგილები წაეკითხა მათთვის. (იხ. „მემუარები“, გვ. 141). აშეარაა, ჩვენს ნიჭიერ დრამატულებს სხვა მრავალ ბრძოლის ნაწარმოებიც ექნებოდა მა დროს.

შემდეგი, ამავე ხასიათის ნაწარმოებია ლექსი: „მოწოდება იერითა მამულის დაცვისათვის, ღრისა სპარსთა შემოსევისასა საქართველოს საზღვართა შინა“, რომელიც ეკუთვნოდა მეორე გომისთავს.

ელიტარის ბიძას, სენატორს და ლენინგრადს, შეთქმულთა აქტუალ წევრს. და ყოფიანის მიერ აღწერილ სალიტერატურო საბაზოზე მმ ნაწარმოებზეც არის მსჯელობა და ენტუზიასტი ელიტარ ერისთავი აფრითბილებს კიდევ დოდაშეილს — ვით თუ ვაზეთი დაგვიხურონ ასეთი რამეს დასტამბეჭისთვის: „ისინი რომ ახსნა-განმარტო, იცი რამ“..., რაზედაც დოდაშეილი მიუგებს: „არაფერია, სენკოვსკიმ (ცენზორი იყო) განიზილა და მე რა მეტაქტებაო“. („მემუარები“, გვ. 140).

ამ ლიტერატურულ საბაზოს, რომლის შემდეგ და ყოფიანის ჩვენებით სტუმრებს შემძინეურით თავისუფლების საღლეგრძელო დაულევიათ და აჯანყებისათვის ხალხის გამოყვანაშე უმსჯელნიათ, სხვათა შორის სოლ, რაზმაძესაც ცხვდავთ; ეს ფრიად საინტერესო და გამოკვეთილი ფიგურია მაშინდელ ინტელიგუროთა შორის.

ს. რაზმაძეს პოეტური ნიტიც ჰქონია და არა მარტო პოლიტიკური ხასიათის არაერთ უწერია, არამედ ლამაზი ელეგიური ლექსიბიც. ვ. კორეტიშეილი ასახელებს ერთს ასეთს, რომელიც დოდაშეილის ყურნალზე ყოფილა დასტამბული:

„დამის ნიავით

დელავს ეფირი,

მოდის გრიალით

და სხვა

მაგრამ მომენტის უფრო შესაფერი უნდა ყოფილიყო მისი ლექსი რომელიც ს. დოდაშეილს აღმოჩინეს. თუმცა აქტუალი მოლად ვარა კვეთოთ არა სიანს: მის კალამს ეკუთვნის ეს ლექსი, თუ ითანე ბატონი-შეილისას:

„სკვითებმა წაგვართვეს მამული ჩვენი

და არ დაგვიტოვეს არც ერთი კაცი...

არ დაქმაყოლილდენ ქართლ-კახეთით

და მითოისეს იმერეთიც.

ჩვენს უბედურებაში გონიურარცეთ და არაერთ სიანს, რომ შევჩივლოთ, მოვითოხოვთ ზეცია სამართალს და ვრახოთ — როგორ გავქვეის ის..“ (იხ. აქტები, ტ. VIII, გვ. 398).

ს. რაზმაძემ 22 წელი გაატარა პეტერბურგის ქართველთა შორის და იყო გაზრდილი ლიტერატურულ მწიგნობარის და მეცნიერ ისტორიკოსის თეომიტრაზ ბატონიშვილისა. ამიტომ მას არ დაკლებია გამოცდილი პეტელი და პოლიტიკაშიაც; ეტუმბა, კარგად ერქვეოდა. ამიტომ იყო, რომ გრ. სიმბონიშვილი ის სპარსეთის მისისი წევრიად დანიშნა და თან წაიყვანა.

პოლონეთის დილი ამბების დროს ის გულის ძეგრით უცდიდა ამ ერთს აღდგომას და მისი ალის საქართველოში გადასრულდას. ალბად : პ დროს ეკუთვნის თარგმანი მიკუვეინის „ფარისისა“, რომელიც გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა შორის იპოვეს (!ცენზურობული

ჭიერი"). ეს „ფარისი“-ც წაუკითხავს ტფილისში მთარგმნელს იმ საღა-  
 მოსწერას, რომელზეც დ. კ-ნი მოგვითხრობს (გ. 140). მაგრამ კეცელაზე უფ-  
 რო შესანიშნავი მის ჩვენამდე მოლწეულ ნაწერებში არის „დათვი და  
 ცხვარი“. ამ ტაბაში, ალეგორიით გადმოცემულია საქართველოს მწარე  
 ბეჭდი — „დათვის“ — რესერის ხელში.

ეს ნაწარმოები უპოვნით გრ. ორბელიანის ახლად იღმოჩენილ ხელ  
 ნაწერთ შორის, რამაც აღმად საბაბი მისცა ბ. ზანდუელს ეს არავი ვრ-  
